



შენაბავისთვის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

[Handwritten signature] კახაბერ კირთავა

“25” დეკემბერი 2018 წელი

N-77/36

ეგზ: N1

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში
2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული
პროგრამების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

შემოკლებანი	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
რეკომენდაციები.....	7
შესავალი	11
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	11
აუდიტორის პასუხისმგებლობა	11
აუდიტის საგანი	12
აუდიტის მასშტაბი	12
გამოყენებული კრიტერიუმები.....	12
აუდიტის მიზანი	13
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ.....	13
აუდიტის მიგნებები.....	15
ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები	15
ბიუჯეტის შემოსულობები	16
საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები	17
სახელმწიფო შესყიდვები.....	18
შეჩერებული ინფრასტრუქტურული პროექტი	21
საპროექტო ხელშეკრულებები.....	24
შესრულებული სამუშაოების მიღება.....	27
სამშენებლო- სარემონტო სამუშაოები	29
სასმელი წყლის მექანიკური სადენინფექციო დანადგარების შესყიდვა.....	34
გარე განათების ტექნიკური მომსახურება	37
საწვავის ხარჯი	40
საკვები პროდუქტების შესყიდვა	43
ექსკავატორის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა.....	45
ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებული ქონება.....	46
სხვა საკითხთა აბზაცი.....	48
შიდა აუდიტი.....	48
წინა აუდიტის დროს გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება	49
აუდიტორთა ხელმოწერა.....	50

შემოკლებანი

მუნიციპალიტეტი – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი;

მერია – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია;

მერი – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი;

ბაღების გაერთიანება – ა(ა)იპ ხელვაჩაურის ბაღა-ბაღების გაერთიანება;

საკრებულო – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო;

მეთოდოლოგია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385

ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია“.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. ზემოაღნიშნულ პროცესში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები და ნაკლოვანებები, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით წარმოდგენილი პროგრამები არასათანადოდაა შედგენილი, არ მოიცავს პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრული პროგრამების მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებსა და შედეგების შეფასების ინდიკატორებს, შესაბამისად, ვერ ხდება განხორციელებული ღონისძიების შუალედური და საბოლოო შედეგების გაზომვა და პროგრამების ეფექტიანობის შეფასება;
- მუნიციპალიტეტმა 2017 წლის ბიუჯეტში, საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით, სრულად არ ასახა აუქციონის წესით გასხვისებული და იჯარის ფორმით დროებით სარგებლობაში გადაცემული ქონებიდან მიღებული შემოსულობა. შესაბამისად, გაუშვა შესაძლებლობა იმისა, რომ დაგეგმილიყო დამატებითი ღონისძიებები და ფულად ნაშთზე მიეღოთ დამატებით შემოსავალი;
- 2017 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე;
- მუნიციპალიტეტმა, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე, არასრულყოფილად განახორციელა შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ, საპროექტო დოკუმენტები შედგენილია ხარვეზებით, რომლებიც არ არის აღმოჩენილი და გამოსწორებული დროულად;
- მუნიციპალიტეტმა ვერ შეძლო მის ხელთ არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება და ვერ უზრუნველყო შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების განახორციელება, რათა თავიდან აეცილებინა უხარისხო და დაბალი ხარისხის საპროექტო დოკუმენტაციის მიღება. მუნიციპალიტეტმა ვერ განახორციელა საპროექტო სამუშაოების შესრულების პროცესში არსებული ხარვეზების დროული გამოვლენა და სათანადო რეაგირება. პროექტის შემსრულებელი კომპანიების მიერ დაშვებული უზუსტობების გამო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები არ გატარებულა. შედეგად, არასწორად დაიგეგმა ცალკეული

- ინფრასტრუქტურული პროექტები. ამასთანავე, ერთ შემთხვევაში, გამოუსადეგარი საპროექტო დოკუმენტაციის გამო, ვერ განხორციელდა საბავშვო ბაღის მშენებლობა;
- მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სრულად, მოქმედი წესებისა და ნორმების დაცვით შესრულებას, რაც ფარული სამუშაოების სრულად განხორციელების დამადასტურებელი და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის არარსებობაში გამოიხატება;
 - მუნიციპალიტეტის მიერ, რიგ შემთხვევებში ვერ განხორციელდა ხელშეკრულების შესრულების პროცესში არსებული ხარჯგეზების დროული გამოვლენა და სათანადო რეაგირება. ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო ვადების არსებობის მიუხედავად, მიმწოდებლის მიმართ არ გამოიყენა ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილებები და არ გაუტარებია კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებები;
 - მუნიციპალიტეტმა, სასმელი წყლის მექანიკური სადებიზინფექციო დანადგარების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში, შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე შეცვალა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნები, რითაც შეზღუდა შესყიდვებში მონაწილე პრეტენდენტების რაოდენობა. ამასთანავე, მიმწოდებლისათვის ანაზღაურებულ იქნა შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულება და არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორგანიზაციის პერსონალის გადამზადების შესაძლებლობა;
 - მუნიციპალიტეტში არ არსებობს გარე განათების წერტილების აღრიცხვის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გარე განათების წერტილების რაოდენობის, ადგილმდებარეობის, მათი მდგომარეობის და გარანტიის ვადების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოწოდებას. ამასთანავე, 2017 წელს გარე განათების წერტილების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული 2015-2016 წლებში მოწყობილი გარე განათების წერტილების საგარანტიო ვადის ამოწურვის საკითხი და შესაბამისად, ზედმეტადაა ანაზღაურებული 2017 წელს გარე განათების წერტილების ტექნიკური მომსახურების ღირებულება. ასევე არ დასტურდება 2017 წელს გარე განათების წერტილების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება;
 - მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა პირად მფლობელობაში არსებულ რიგ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეულ საწვავის ხარჯზე, ვერ იქნა წარმოდგენილი სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვის დამადასტურებელი

დოკუმენტაცია. ასევე შპს „ხელვაჩაურის წყალკანალის“ მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი გაცემული საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვის საკმარისი დოკუმენტური მტკიცებულება, რაც წარმოშობს საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის რისკებს;

- ბაღების გაერთიანებაში არ არის დანერგილი ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების პირობების დარღვევის თავიდან არიდებას და შესაბამისად, საბიუჯეტო რესურსების ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ განკარგვას. ბაღების გაერთიანების მიერ კვების პროდუქტების შესყიდვასთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, ზედმეტად არის თანხა გადარიცხული;
- შპს „ხელვაჩაურის წყალკანალმა“, ექსკავატორის სათადარიგო ნაწილების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში განსაზღვრა საქონლის მიწოდების მცირე ვადა, რომელიც ხელშეკრულების დადების შემდგომ დასაბუთების გარეშე გაზარდა, რამაც საბოლოოდ განაპირობა უკონკურენტოდ, სავარაუდოდ, სასურველი პრეტენდენტის გამარჯვება შესყიდვის მაქსიმალური ღირებულების შეთავაზებით;
- მუნიციპალიტეტის მიერ ელექტრონული აუქციონის ფორმით გასხვისებულია ქონება, რომელიც არ არის შეფასებული სრულად. კერძოდ, აუდიტის მიერ შეფასებულია მხოლოდ საპრივატიზებო მიწა, ხოლო მასზე განთავსებული ნაგებობების ღირებულება განულებულია. შესაბამისად, ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განსაზღვრულია არასაბაზრო ფასით, რის გამოც ბიუჯეტმა დაკარგა დამატებითი შემოსულობის მიღების შესაძლებლობა;
- მუნიციპალიტეტში, შიდა აუდიტის მიერ შედგენილ აუდიტორულ დასკვნებში ასახული მიგნებების შესაბამისად, არ ხდება რეკომენდაციების შესრულებაზე სათანადო რეაგირება და მონიტორინგი, რაც მუნიციპალიტეტისათვის რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1: მუნიციპალიტეტის მერიამ, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი მართვის შეფასების მიზნით, პროგრამული ბიუჯეტი შეიმუშაოს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს, პროგრამის ფარგლებში საბოლოო მიზნის მიღწევისათვის განხორციელებული აქტივობების, ამ გზაზე მიღწეული პროგრესის, მიღებული საბოლოო შედეგის გაზომვა და პროგრამით დასახული მიზნის მიღწევა.

რეკომენდაცია N2: მუნიციპალიტეტმა დროულად ასახოს კუთვნილი შემოსულობა შესაბამის კალენდარული წლის ბიუჯეტში, რაც ხელს შეუწყობს, მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე, დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვას და ბიუჯეტის შემოსულობების ზრდას.

რეკომენდაცია N3: მუნიციპალიტეტმა არ დაუშვას საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს, საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია N4: მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესის ეფექტიანად წარმართვის და სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, სათანადოდ და სრულყოფილად განხორციელოს შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოები. დეტალურად იქნეს გამოკვლეული შესყიდვის პროცესის შეწყვეტის მიზეზები და გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. შემდგომში ანალოგიური შემთხვევების თავიდან არიდების მიზნით, დაინერგოს ქმედითი კონტროლის მექანიზმები.

რეკომენდაცია N5: მუნიციპალიტეტმა თანმიმდევრულად, სათანადო კონტროლის მექანიზმების დანერგვითა და გამოყენებით, უზრუნველყოს დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი გამოყენება და რისკი იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დროულად ვერ მიიღებს შესაბამისი პროექტით

გათვალისწინებულ სარგებელს. ასევე გამოიკვლიოს კონკრეტული შემთხვევის გამოძევები დეტალური მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია N6: მუნიციპალიტეტმა, მის ხელთ არსებული რესურსები გამოიყენოს ეფექტიანად და გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, რათა შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები მუნიციპალური ინტერესების დაცვით, მაღალი პროფესიონალიზმით შეასრულოს. იმ შემთხვევაში, თუ მის დაქვემდებარებაში მყოფი ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის საპროექტო განყოფილება ვერ უზრუნველყოფს მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას, მიზანშეწონილია, მერიამ გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებები. ასევე საპროექტო სამუშაოების შესყიდვისას, უზრუნველყოს შესაბამისი სამსახურების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმების გამოყენება. კერძოდ, შესაბამისმა სამსახურმა განახორციელოს გაწეული და გასაწევი მომსახურების მოცულობის და ხარისხის დადგენა, ხოლო შეუსაბამობის შემთხვევაში, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. კომპეტენციის ნაკლებობისას, განახორციელოს პროექტის საექსპერტო კვლევა, რათა მიიღოს მაღალი რწმუნება იმის შესახებ, რამდენად ხარისხიანად არის შესრულებული პროექტი.

რეკომენდაცია N7: მუნიციპალიტეტმა, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებების გათვალისწინებით, განსაზღვროს ფარული სამუშაოების სახეები, რომელთა მიღებაც სათანადო შემოწმების შედეგად შედგენილი აქტების საფუძველზე უნდა მოხდეს. ამასთანავე, სამუშაოების შესყიდვისას შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა განახორციელონ ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების სრულ და ხარისხიან მიწოდებას. ასევე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს ფარული სამუშაოების ფაქტობრივად შესრულების მდგომარეობის დადგენა და უზუსტობების არსებობის პირობებში უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების ბიუჯეტში დაბრუნება.

რეკომენდაცია N8: მუნიციპალიტეტმა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვისას უზრუნველყოს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხისა და მოცულობის სათანადო საექსპერტო კვლევების მოთხოვნა და შესაბამისად, მიიღოს მაღალი რწმუნება, რომ შესყიდული სამუშაოების ხარისხი და მოცულობა შეესაბამება ხელშეკრულებებით განსაზღვრულ პირობებს და მხოლოდ შემდგომ განახორციელოს ანგარიშსწორება. ასევე დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც სამუშაოების ჩატარების

პროცესში სისტემატური მონიტორინგის საშუალებით, დროულად და სრულად გამოავლენს და აღმოფხვრის ხარვეზებს, რაც მთლიანად პროექტის წარმატებით განხორციელებას, შესყიდული ობიექტის გამართულ ფუნქციონირებას და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მისი ექსპლუატაციის საშუალებას უზრუნველყოფს. მუნიციპალიტეტმა გამოიკვლიოს კონკრეტული შემთხვევების გამომწვევი დეტალური მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია N9: მუნიციპალიტეტმა სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისას და ტექნიკურ დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის პროცესში, იმსჯელოს შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფის მიზნებიდან და რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე, განახორციელოს სატენდერო წინადადების ცვლილებები, რაც აგრეთვე საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ერთ-ერთი წინაპირობაა. ასევე დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების და ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებას. გამოიკვლიოს კონკრეტული შემთხვევების გამომწვევი დეტალური მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია N10: მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს გარე განათების წერტილის აღრიცხვა, მათი იდენტიფიკაცია და ზუსტი რაოდენობის დადგენა. გამიჯნოს გარანტიის მქონე წერტილები და მხოლოდ საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ გაითვალისწინოს ისინი, გარე განათების წერტილის ტექნიკური მომსახურების თაობაზე განსახორციელებელ შესყიდვაში. გარე განათების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებაზე კონტროლის განხორციელებისას დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც დოკუმენტური აღრიცხვის პირობებში უზრუნველყოფენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილ შესრულებას.

რეკომენდაცია N11: მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ორგანიზაციის საჭიროებებიდან გამომდინარე, შექმნას და პრაქტიკაში დაინერგოს საწვავის გაცემისა და ჩამოწერის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემა. განსაზღვროს კრიტერიუმები, რომლის გათვალისწინებით განხორციელდება მერიის თანამშრომელთა პირად მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის გამოყოფა. ასევე მუნიციპალიტეტმა გაატაროს ქმედითი ღონისძიებები იმ მიზნით, რომ შპს „ხელვაჩაურის წყალკანალში“ დაინერგოს საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემა. მუნიციპალიტეტმა გამოიკვლიოს კონკრეტული

შემთხვევის გამოწვევი დეტალური მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია N12: მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს, რომ ბაღების გაერთიანებაში დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განუხრელ შესრულებას. ასევე გამოკვლეულ იქნეს საქონლის ზედმეტად მიღების და ანაზღაურების მიზეზები და გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია N13: მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების შემუშავება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით.

რეკომენდაცია N14: მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ისეთი პროცედურების განხორციელება, რომლის შედეგად სრულად შეფასდება საპრივატიზებო ქონება. ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისას, იხელმძღვანელოს რეალური საბაზრო ღირებულების დადგენის და მეტი საბიუჯეტო შემოსულობის მიღების პრინციპებიდან გამომდინარე.

რეკომენდაცია N15: მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა, არსებული რისკების შეფასებით და მოქმედი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით და განხორციელოს მონიტორინგი რეკომენდაციების განუხრელად შესრულებაზე.

რეკომენდაცია N16: წინამდებარე ანგარიშში ასახულ, 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის შედეგების გათვალისწინებით გაცემულ რეკომენდაციებთან ერთად, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და წარმოადგინოს სამოქმედო გეგმა, მუნიციპალიტეტის 2016 წლის აუდიტის ანგარიშში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის. ასევე გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ინფორმაცია გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შესახებ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა გაატაროს სათანადო ღონისძიებები იმ პასუხისმგებელ პირთა მიმართ, რომელთაც ევალებოდათ აღნიშნულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორული პროცედურები ჩატარდება უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI-4000) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შესაბამეა თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობას, აუდიტის საგნის შესაბამისად.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

აუდიტის საგანი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელები, ჯამში – 18,070,315 ლარი.

გამოყენებული კრიტერიუმები

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობები შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს N1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანებით დამტკიცებული „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე

(ავტოტრანსპორტი, სპეც. ტექნიკა და სხვ.) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესი“;

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 13 იანვრის დადგენილება N5 „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“;

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 იანვრის N23 ბრძანება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა ტრანსპორტით და საწვავით უზრუნველყოფის შესახებ“.

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანებით დამტკიცებული „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე (ავტოტრანსპორტი, სპეც. ტექნიკა და სხვ.) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესი“.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმებთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია 11 ადმინისტრაციული ერთეული და მათში შემავალი 64 სოფელი.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- საჯარო ადგილების დასუფთავება, ნარჩენების მართვა, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების

უზრუნველყოფა, წყალმომარაგებისა და წყალინარების და სხვა ინფრასტრუქტურის შექმნის უზრუნველყოფა;

- სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა;

- კულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირება და სხვ.

მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. კანონმდებლობით მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი და შემოსავლების დამოუკიდებელი წყაროები. გარდა აღნიშნულისა, ის დაფინანსებას იღებს როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან. შესრულების წლიური ანგარიშის მიხედვით, 2017 წელს პროგრამების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 18,463,630 ლარი. პროგრამის გადასახდელების მაჩვენებლები მოცემულია N1 ცხრილის სახით:

ცხრილი №1. 2017 წელს გაწეული საკასო ხარჯი პროგრამების მიხედვით (ლარი)

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	საკასო ხარჯი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2,754,710
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	82,613
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	8,984,057
04 00	განათლება	3,296,777
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,966,582
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	985,576
ჯამი:		18,070,315

აუდიტის მიგნებები

ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული, იგეგმება ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებით შედეგის გაზომვაა შესაძლებელი. თითოეულ პროგრამაზე წარმოდგენილი უნდა იყოს¹ პროგრამული კლასიფიკაციის კოდი, პროგრამის დასახელება, პროგრამის აღწერა, მასში შემავალი ქვეპროგრამების და ღონისძიებების აღწერა, მოსალოდნელი საბოლოო ან/და შუალედური შედეგები.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ექვსი პროგრამა. კერძოდ, წარმოდგენილია და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება; თავდაცვის ღონისძიებები; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია; საგანმანათლებლო ღონისძიებები; სპორტული და კულტურული ღონისძიებები; სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის პროგრამებში ასახულია ქვეპროგრამები და პროგრამების განხორციელებაზე გადანიშნული რესურსი, თუმცა არ არის წარმოდგენილი „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, არ არის ასახული პროგრამის მიზნები, მოსალოდნელი საბოლოო ან/და შუალედური შედეგები და ინდიკატორები. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები იგეგმება პროგრამულად და შედეგზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლზე გადანიშნული რესურსების განსაზღვრა, არამედ დაგეგმილი პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი.

დასკვნა: მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით წარმოდგენილი პროგრამები არასათანადოდაა შედგენილი, არ მოიცავს პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებსა და შედეგების შეფასების ინდიკატორებს. შესაბამისად, ვერ ხდება განხორციელებული ღონისძიების შუალედური და საბოლოო შედეგების გაზომვა და პროგრამების ეფექტიანობის შეფასება.

¹ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის N3 დანართის შესაბამისად.

რეკომენდაცია N1: მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა), საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი მართვის შეფასების მიზნით, პროგრამული ბიუჯეტი შემოქმედოს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს, პროგრამის ფარგლებში საბოლოო მიზნის მიღწევისათვის განხორციელებული აქტივობების, ამ გზაზე მიღწეული პროგრესის, მიღებული საბოლოო შედეგის გაზომვა და პროგრამით დასახული მიზნის მიღწევა.

ბიუჯეტის შემოსულობები

კრიტერიუმი: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით ბიუჯეტის ყველა შემოსულობა, გადასახდელი და ნაშთის ცვლილება სრულყოფილად უნდა აისახოს შესაბამის ბიუჯეტში. ასევე ყველა შემოსულობა უნდა მიიმართოს საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად. მუნიციპალიტეტს „ლიბერთი ბანკში“ გახსნილი აქვს მიმდინარე ანგარიში. აღნიშნულ ანგარიშზე იგი ახორციელებს თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსებას, ხოლო ანგარიშზე არსებულ ნაშთზე ერიცხება წლიური 10.2 % სარგებელი, რომელიც წარმოადგენს ბიუჯეტის სხვა შემოსავლის სახეს.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის მერიამ, 2017 წელს ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისებული და იჯარის ფორმით დროებით სარგებლობაში გადაცემული ქონებიდან მიღებული შემოსულობა, ჯამში – 126,702 ლარი², რომელიც შემოდის ხაზინის ანგარიშზე, „სხვა დეპოზიტები“ დროულად არ გადმოიტანა მუნიციპალიტეტის შემოსულობების სახაზინო ანგარიშზე და შესაბამისად, არ ასახა ბიუჯეტში, როგორც 2017 წლის შემოსულობა. აღნიშნული თანხებიდან, დაახლოებით, 122,123 ლარი მუნიციპალიტეტს უსარგებლოდ ჰქონდა განთავსებული ხაზინის ანგარიშზე 7-8 თვის განმავლობაში, ხოლო 4,579 ლარი – 10-11 თვის განმავლობაში. შემოსულობები დაფიქსირდა 2018 წელს³, რის გამოც, მუნიციპალიტეტმა გაუშვა შესაძლებლობა იმისა, რომ მოცემული რესურსით მომხდარიყო დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. ასევე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს თავისუფალ ფულად ნაშთზე ერიცხება წლიურად 10.2% სარგებელი. 2017 წელს შემოსავალმა პროცენტებიდან შეადგინა 178,167 ლარი. მუნიციპალიტეტს ფულად ნაშთზე დამატებით შეეძლო მიეღო შემოსავალი, მინიმუმ, 7,578 ლარის⁴ ოდენობით.

²შემოვიდა ხაზინის ანგარიშზე „სხვა დეპოზიტები 300738800“, სადაც აკუმულირდება აუქციონის წესით განკარგული ქონების საგარანტიო თანხები. 115'797 ლარი – არაფინანსური აქტივების კლების შედეგად მიღებული შემოსულობაა, ხოლო 10',905 ლარი – ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავალი.

³ 2018 წლის 3 მარტს, 30 აპრილს და 11 სექტემბერს.

⁴ მათ შორის: 2017 წელს – 5,390 ლარი, ხოლო 2018 წელს – 2,188 ლარი: გაანგარიშებისას აღებულია მინიმალური ვადები.

დასკვნა: საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით, მუნიციპალიტეტმა 2017 წლის ბიუჯეტში არ ასახა კუთვნილი შემოსულობა 126,702 ლარი. შესაბამისად, გაუშვა შესაძლებლობა იმისა, რომ აღნიშნული თანხებით მომხდარიყო დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. ასევე დაკარგა ფულად ნაშთზე დამატებით, მინიმუმ, 7,578 ლარის შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

რეკომენდაცია N2: მუნიციპალიტეტმა დროულად ასახოს კუთვნილი შემოსულობა შესაბამისი კალენდარული წლის ბიუჯეტში, რაც ხელს შეუწყობს, მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე, დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვას და ბიუჯეტის შემოსულობების ზრდას.

საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს ის წევრები, რომლებიც თანამდებობის პირები არ არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად⁵, უფლებამოსილებას ახორციელებენ სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებსა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, რომელიც პირველადი აღრიცხვის დოკუმენტია, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები⁶.

გამოვლენილი გარემოება: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს, „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის (01 00) ფარგლებში, 2017 წელს ხარჯები აუნაზღაურდათ საკრებულოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი დადგენილების საფუძველზე⁷ რომლის თანახმად, საკრებულოს არაანაზღაურებადი თითოეული წევრისთვის უფლებამოსილების

⁵ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

⁷ დადგენილება N5 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ 13.01.2015.

განხორციელებასთან დაკავშირებული ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიური ოდენობა შეადგენს საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასის 15%-ს⁸. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები – ჯამში 67,575 ლარი, ანაზღაურებული აქვთ ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. შესაბამისად, საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე უფლებამოსილების განხორციელებისთვის თანხები გაიცემა ფიქსირებულად, თვეში 397 ლარის ოდენობით, რაც ადასტურებს იმას, რომ განაცემს თანამდებობრივი სარგოს შინაარსი აქვს და არა ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ანაზღაურების, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

დასკვნა: 2017 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები – ჯამში 67,575 ლარი, ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.

რეკომენდაცია N3: მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაზღვრულ ხარჯვას.

სახელმწიფო შესყიდვები

კრიტერიუმი: მოქმედი რეგულაციებით⁹, შემსყიდველმა შესყიდვის პროცესის ორგანიზება ისე უნდა განახორციელოს, რომ მოხდეს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის

⁸ თითოეულ წევრზე ხარჯების ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრა 397,5 ლარით.

⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მითითებები და რეკომენდაციები.

განვითარება და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა¹⁰.

გამოვლენილი გარემოება N1: 2017 წელს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა სულ 240 ელექტრონული ტენდერი. დადებულია 178 ხელშეკრულება, საიდანაც 54 შემთხვევაში, კონკურენციის გარეშე დადებულია 1,483,936 ლარის ღირებულების ხელშეკრულება.

ცხრილი №2. 2017 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ტენდერების სტატისტიკა

N	ტენდერის რაოდენობა	2017 წელი
1	არ შედგა/დასრულებულია უარყოფითი შედეგით ¹¹	54
2	შეწყვეტილი ტენდერი	8
3	დადებულია ხელშეკრულება	178
	მათ შორის: კონკურენციის გარეშე ¹²	54
	გამოცხადებული ტენდერი სულ:	240

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 38 შემთხვევაში არ შედგა ტენდერი, რომლებითაც უნდა განხორციელებულიყო საინჟინრო მომსახურების, სამშენებლო სამუშაოების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ტექნიკური მომსახურების შესყიდვა, ხოლო 8 ტენდერი შეწყდა, საიდანაც 5 შემთხვევა გამოწვეული იყო შემსყიდველის მიერ არასწორად ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციით. უარყოფითი შედეგით დასრულდა 16 ტენდერი. აღნიშნული სტატუსის მინიჭების საფუძველი გახდა გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციასთან შეუსაბამო ინფორმაციის ატვირთვა, ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობა და ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმა.

ცხრილი №3. ინფორმაცია 2017 წელს მუნიციპალიტეტის მიერ „შეწყვეტილი ტენდერების“ მიზეზების შესახებ (ლარი)

N	ტენდერის ნომერი	სავარაუდო ღირებულება	შეწყვეტის მიზეზი
1	NAT170003266	92,248.00	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ხარვეზები: 100 კვ. მ-ის ნაცვლად, ხარჯთაღრიცხვა 1/1-ის მე-4 პუნქტში მითითებულია კვ. მ
2	NAT170003268	40,350.00	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ხარვეზები: 100 კვ. მეტრის ნაცვლად, ხარჯთაღრიცხვა 1/1-ის მე-4 პუნქტში მითითებულია კვ. მ

¹⁰ კანონის მე-2 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

¹¹ 54 = არ შედგა 38 და 16 დასრულებულია უარყოფითი შედეგით.

¹² ერთი პრეტენდენტი.

3	NAT170003188	32,893	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ხარვეზები: ხარჯთაღრიცხვა 1/1-ის მე-4 პუნქტში არმატურა დ-20 0,348 ტონის ნაცვლად, უნდა იყოს 2380 კგ.
4	NAT170003184	116,725	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ხარვეზები: ხარჯთაღრიცხვა 1/1-ის მე-15 პუნქტში ასფალტბეტონის საფარის მოწყობის მოცულობა არ შეესაბამება რეალურ მოცულობას.
5	NAT160004979	189,072	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ხარვეზები: უზუსტობები სქემაზე დატანილი მილების სიგრძესა და ლოტში მოცემულ მილების სიგრძეს შორის. შეცდომები რეზერვუარის მოწყობის ხარჯთაღრიცხვაში. ქვაბულში მიწის დამუშავების მოცულობა არარეალურია.
	<i>სულ:</i>	<i>471,288</i>	

ცხრილში მოცემული შესყიდვების სატენდერო დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ შეწყვეტის მიზეზების უმეტესობა ტექნიკური ხასიათისაა და ისინი სატენდერო კომისიამ დროულად ვერ აღმოაჩინა. მათი აღმოჩენა და გასწორება შესყიდვების მოსამზადებელი სამუშაოების სათანადოდ წარმართვის პირობებში, ელექტრონული ტენდერის გამოცხადებამდე იყო შესაძლებელი. შეწყვეტილი ტენდერები მოგვიანებით თავიდან გამოცხადდა და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები. აღნიშნული ტენდერების შეწყვეტა მოსამზადებელი სამუშაოების არასათანადოდ წარმართვის შედეგია, რამაც დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაწყების შეფერხება დაგვიანებით შესრულებამ გამოიწვია.

გამოვლენილი გარემოება N2: ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზით დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის საპროექტო განყოფილება აწვდიდა შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც ხდებოდა ტენდერები. ზემოაღნიშნული ხარვეზიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში დადებული ხუთი ხელშეკრულების შედეგად, ჯამში – 3,105 ლარად არის შესყიდული. ამ ხელშეკრულებებით სულ გათვალისწინებული იყო თხუთმეტი პროექტის მომზადება, საერთო ღირებულებით – 7,650 ლარი, რომელთაგანაც ხუთი პროექტი შეიცავდა ხარვეზებს საპროექტო მოცულობებში, საჭიროებდა დროულ ჩასწორებას მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ და მათ მიმართ საჯარიმო სანქციების განხორციელებას. მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის შემდგენი ორგანიზაციების მიმართ, რეაგირების არავითარი ღონისძიებები არ გატარებულა, მიღებულ იქნა ხარვეზიანი პროექტები, ხოლო

ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისთვის არ მომხდარა პირგასამტეხლოს დარიცხვა, საერთო ღირებულების – 5%-ის¹³ ოდენობით.

დასკვნა: მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე არასრულყოფილად განხორციელებული შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ, საპროექტო დოკუმენტები შედგენილია და მიღებულია ხარვეზებით, რომლებიც დროულად არ არის აღმოჩენილი და გამოსწორებული, რაც შესყიდვების არარაციონალურად და არაეფექტიანად განხორციელების რისკებს შეიცავს, ამასთანავე არ იქნა გამოყენებული საჯარიმო სანქციები ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის.

რეკომენდაცია N4: მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესის ეფექტიანად წარმართვის და სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, სათანადოდ და სრულყოფილად განახორციელოს შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოები. დეტალურად იქნეს გამოკვლეული შესყიდვის პროცესის შეწყვეტის მიზეზები და გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. შემდგომში ანალოგიური შემთხვევების თავიდან არიდების მიზნით, დაინერგოს ქმედითი კონტროლის მექანიზმები.

შეჩერებული ინფრასტრუქტურული პროექტი

კრიტერიუმი: სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიზანია მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება და სარგებლის მიღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოები დაგეგმოს და განახორციელოს ისე, რომ სრულად იქნეს მიღწეული დასახული მიზნები.

მოქმედი რეგულაციებით, კერძოდ, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, მშენებლობის განხორციელებისას მშენებლობის დამკვეთი¹⁴ ვალდებულია უზრუნველყოს მშენებლობის განხორციელებისთვის აუცილებელი დოკუმენტების შედგენა.

გარემოება: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალშენში ასაშენებელი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა

¹³ ჯამურად ხელშეკრულებების ღირებულება 7650 ლარია, შესაბამისად, ჯარიმა 5%, ანუ 382,5 ლარი.

¹⁴ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილება, თავი IV, მუხლი 20.2.

ელექტრონული ტენდერი¹⁵, სავარაუდო ღირებულებით – 963,176 ლარი. გამარჯვებულ კომპანია შპს „ლადასთან“, გაფორმდა ხელშეკრულება¹⁶ ღირებულებით – 770,542 ლარი. პროექტისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდულია შპს ARCH STYLE-სგან¹⁷. აღნიშნული მოცულობის, ღირებულებისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტის შესყიდვა საბაზრო ფასებთან შედარებით, დაბალ ფასად – 2,000 ლარად, წარმოშობს რისკს, რომ პროექტი არ იქნება გამოსადეგი და ხარისხიანი, რაც პროექტის შესრულების ეტაპზე დადასტურდა.

პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო ტერიტორიის მიმდებარე ფერდობზე რამდენჯერმე განვითარებულმა მეწყერულმა პროცესებმა გამოიწვია სამუშაოთა შეფერხება. კომპანიამ ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ხელშეკრულება შეწყდა¹⁸ და მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებულ იქნა ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია – ხელშეკრულების საერთო ოდენობის 5%, ანუ 38,527 ლარი. მუნიციპალიტეტს არ აუნაზღაურებია შპს „ლადასთვის“ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება. 2018 წლის მარტიდან ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს სასამართლო დავა¹⁹. შპს „ლადა“ ითხოვს 151,842 ლარის ანაზღაურებას, რაზეც მერია უარს აცხადებს დაუსაბუთებლობისა და კანონიერი საფუძვლის არარსებობის გამო.

აღსანიშნავია, რომ მშენებლობის განხორციელებისას მშენებლობის დამკვეთი²⁰, მოცემულ შემთხვევაში – მუნიციპალიტეტი, ვალდებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოს საპროექტო სამუშაოებისათვის²¹ საჭირო საწყისი მონაცემების მოძიება, მათ შორის: მიწის მიწის ნაკვეთისა კვლევა²² უნდა განხორციელდეს შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების მომზადებამდე²³, რაც არ განხორციელებულა. ახალშენის საბავშვო ბაღის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ასევე არ მოიპოვება გეოლოგიური დასკვნა, ტოპოგრაფიული გეგმა, გენერალური გეგმა და მიწის სამშენებლო გამოყენების პირობები, თუმცა სხვა ბაღის

¹⁵ NAT170008043.

¹⁶ ხელშეკრულება N223 09.10.2017.

¹⁷ ხელშეკრულება N 205, 15.09.2016, ღირებულებით – 2000 ლარი პირგასამტეხლო ხელშეკრ-ბის 5% -არაუმეტეს 100 ლარი.

¹⁸ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N530, 12.03.2018.

¹⁹ მუნიციპალიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის განმარტება (20.11.2018).

²⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება N 57, 24.03.2009, თავი IV, მუხლი 20.2.

²¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება N57, 24.03.2009 თავი VII მუხლი 33.1; 33.2

²² რომლის მიზანია მიწის ნაკვეთის ბუნებრივი და ფიზიკური პირობებისა და მახასიათებლების გარემოზე ზემოქმედების ფაქტორების განსაზღვრა და მათი ცვლილებების პროგნოზირება.

²³ საქართველოს მთავრობის დადგენილება N 57, 24.03.2009, მუხლი 35.

მშენებლობის დროს, სადაც მშენებლობის ნებართვა ბათუმის მუნიციპალიტეტმა გასცა, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნათა მიხედვით იყო შედგენილი და წარდგენილი²⁴.

მოგვიანებით, 2018 წელს შპს „ლადას“ მიერ განხორციელდა პროექტთან დაკავშირებით საექსპერტო დასკვნების შესყიდვა. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალშენში ასაშენებელი საბავშვო ბაღის პროექტის“ საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად²⁵, საპროექტო დოკუმენტაცია არასრულყოფილია, არ შეესაბამება სამშენებლო წესებსა და ნორმებს, არ შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას და მოცემულ მიწის ნაკვეთზე მისი გამოყენება საბავშვო ბაღის ასაშენებლად დაუშვებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტმა პროექტის ავტორის, შპს ARCH STYLE-ის მიმართ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოსთვის დაჯარიმების მექანიზმი არ გამოიყენა. ასევე შპს Tuski Geology Group-ის მიერ განხორციელებული სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის თანახმად²⁶ დადგინდა, რომ სამშენებლო უბანი იმყოფება მეწყერსაშიშ ტერიტორიაზე, რომლის გააქტიურების საშიშროება მოსალოდნელია. ამიტომ ამ ტერიტორიაზე საბავშვო ბაღის მშენებლობა მიზანშეწონილი არ არის.

დასკვნა: მუნიციპალიტეტის მიერ არასრულყოფილად და ხარვეზებით განხორციელდა წინა საპროექტო სამუშაოები. მოგვიანებით, სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის დაკვეთით განხორციელებული ექსპერტთა დასკვნისა და კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ შესყიდული პროექტი აღმოჩნდა ხარვეზიანი. შესაბამისად, მის შესაძენად გადახდილი თანხა²⁷, არაეფექტიანად იქნა გამოყენებული. მუნიციპალიტეტმა გამოუსადეგარი საპროექტო დოკუმენტაციით, გეოლოგიური კვლევების გარეშე, მეწყერსაშიშ ტერიტორიაზე გამოაცხადა ახალშენის საბავშვო ბაღის მშენებლობის შესყიდვასთან დაკავშირებით ელექტრონული ტენდერი. შედეგად, პროექტი ვერ განხორციელდა, არ დაკმაყოფილდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებები და პროექტით გათვალისწინებული სარგებელი ვერ მიიღეს.

რეკომენდაცია N5: მუნიციპალიტეტმა თანმიმდევრულად, შესაბამისი კონტოლის მექანიზმების დანერგვითა და გამოყენებით უზრუნველყოს დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, რათა თავიდან

²⁴ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილება.

²⁵ NAT170008043.

²⁶ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა N000724018.

²⁷ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალშენის საბავშვო ბაღის სამშენებლო ტერიტორიის 2018 წლის თებერვლის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.

²⁸ ხელშეკრულება N 205-ის ღირებულება – 2000 ლარი.

იქნეს აცილებული საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი გამოყენება და რისკი იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დროულად ვერ მიიღებს შესაბამისი პროექტით გათვალისწინებულ სარგებელს. ასევე გამოიკვლიოს კონკრეტული შემთხვევის გამომწვევი დეტალური მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

საპროექტო ხელშეკრულებები

კრიტერიუმი: მოქმედი რეგულაციებით²⁸, შესყიდვის პროცესის ორგანიზება ისე უნდა განხორციელდეს, რომ თავიდან იქნეს აცილებული შემსყიდველის მიერ უხარისხო ან/და დაბალი ხარისხის საპროექტო სამუშაოების ან/და საინჟინრო მომსახურების მიღება. საპროექტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების თანახმად, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის საპროექტო განყოფილება, რომელსაც ევალებოდა გაწეული და/ან გასაწევი მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

გამოვლენილი გარემოება N1: ხელვაჩაურსა და სოფელ ჯიბინაურში მინისპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ტენდერში კონკურენციის პირობებში გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება²⁹. ღირებულებით – 43,773 ლარი. კომპანიამ მერიას მიმართა წერილით, სადაც სთხოვს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას და პროექტში ცვლილების შეტანას. მიზეზად კი უთითებს, რომ გათვალისწინებული მინიმოედნის მოწყობა, პროექტით მითითებულ ტერიტორიაზე ვერ ხერხდება, რადგან „მინისტადიონის ადგილზე აღმოჩნდა სამანქანო გზა“ და ასევე მოედანი არ ეტევა აღნიშნულ ტერიტორიაზე. პროექტში ხელშეკრულების ღირებულების შეუცვლელად შევიდა ცვლილებები. კერძოდ, მინი- მოედნის ზომები შემცირდა; ნაცვლად 24,5 X 13,5 მეტრისა – 11,60 X 21,60 მეტრი და შეიცვალა სამუშაოთა მოცულობები. სამშენებლო სამუშაოების ვადა ასევე ათი კალენდარული დღით გაიზარდა.

²⁸ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“; საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მითითებები და რეკომენდაციები.

²⁹ NAT170011238 - ხელშეკრულება N238, 24/10/2017.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საპროექტო განყოფილებამ³⁰ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას მომსახურების ხარისხის დადგენის გარეშე ჩაიბარა ხარვეზიანი პროექტი, ხოლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ავტორის, შპს Architectural house-ის³¹ მიმართ დაშვებული უზუსტობების გამო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები არ გატარებულა.

გამოვლენილი გარემოება N2: სოფელ ორთაბათუმში საბავშვო ბაღის მშენებლობის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის³² სატენდერო დოკუმენტაცია, კერძოდ, პროექტი თავიდანვე შეიცავდა მნიშვნელოვან უზუსტობებს, რის თაობაზეც მუნიციპალიტეტისთვის ცნობილი გახდა³³ ტენდერის მსვლელობისას. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ცვლილებები სატენდერო დოკუმენტაციაში ვერ განხორციელდებოდა, შესაძლებელი იყო ტენდერს მინიჭებოდა „შეწყვეტილის“ სტატუსი, გასწორებულიყო უზუსტობები და ხელმეორედ გამოცხადებულიყო ახალი ტენდერი, რაც არ განხორციელდა. კონკურენციის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება 817, 698 ლარზე³⁴. შპს „კომპანიონის“ მიერ მუნიციპალიტეტისთვის მიწერილი წერილით³⁵ დადგინდა, რომ პროექტი ხარვეზებს შეიცავს. კერძოდ: მითითებულ სამშენებლო მოედანზე შენობის არსებული პარამეტრებით განთავსების შემთხვევაში ვერ მოხერხდება სახანძრო უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინება, ასევე ბავშვთა სათამაშო მოედანი შეზღუდულია ატრაქციონის მოსაწყობად, ხოლო შენობაში გათვალისწინებული სასოფლო კლუბი, ბავშვთა ბაღების რეგლამენტით არ არის დაშვებული. შესაბამისად, პროექტში განხორციელდა ცვლილებები. საბოლოოდ, კომპანიამ ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულება, რისთვისაც მუნიციპალიტეტმა შპს „კომპანიონს“ აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულება – 555,971 ლარი, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაგვიანებით და სამუშაოების არასრულად შესრულებისათვის, შეუწყვიტა

³⁰ ამ პერიოდისთვის საპროექტო განყოფილებაში მუშაობდა 5 თანამშრომელი, მათზე გაწეულმა ხარჯებმა 2017 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 51,675 ლარი შეადგინა.

³¹ ხელშეკრულება N216, 19.10.2015, ღირებულებით – 1500 ლარი (პროექტის – 200ლ), პირგასამტეხლო ხელშეკრულების 5%, არა უმეტეს – 75 ლარი.

³² NAT160004882.

³³ პრეტენდენტის პასუხად მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი აღიარებს ხარჯთაღრიცხვაში არსებულ შეცდომებს: ფილის მოწყობა და სვეტების მოწყობა მ-200-მარკიანი ბეტონის ნაცვლად, მითითებული უნდა იყოს მ-250-მარკიანი ბეტონი, გადახურვის ფილისა და კოლონების მოწყობა – ნაცვლად, M-200 მარკის ბეტონისა, უნდა მოხდეს B20 და B25 კლასის ბეტონით.

³⁴ ხელშეკრულება N84, 23.03.2017 - ღირებულებით 817 698,43 ლარი.

³⁵ შპს „კომპანიონის“ წერილი 05.04.2017.

ხელშეკრულება და დააკისრა ჯარიმა – 40,950 ლარი³⁶, რომელიც გადახდილ იქნა ბიუჯეტში.

ამასთანავე, მუნიციპალიტეტის საპროექტო განყოფილებამ, ხარისხის დადგენის გარეშე ჩაიბარა ხარვეზიანი პროექტი, ხოლო საპროექტო-სახარჯთაღიწევო დოკუმენტაციის ავტორი შპს ARCH STYLE³⁷-ის მიმართ დაშვებული უზუსტობების გამო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები არ გატარებულა. შედეგად, შეფერხდა ინფრასტრუქტურული პროექტის შესრულება.

მოგვიანებით აღნიშნული ბადის მშენებლობის დასრულებასთან დაკავშირებით, ტენდერი კვლავ გამოცხადდა და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება³⁸. ამრიგად, სოფელ ორთაბათუმში საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც უნდა დასრულებულიყო 2017 წლის დეკემბერში (ხელშეკრულების გაფორმებიდან რვა თვეში), აუდიტის მსვლელობისას ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული და შესაბამისად, ადგილობრივმა მოსახლეობამ დროულად ვერ მიიღო პროექტით გათვალისწინებული სარგებელი.

გამოვლენილი გარემოება N3: სოფელ ახალშენის მუსიკალური სკოლისა და კულტურის სახლის რეკონსტრუქციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში³⁹, კონკურენციის პირობებში გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით – 422,199 ლარი. კომპანია შპს „ნეც სტაილ ბილდინგმა“ რამდენჯერმე მიმართა მერიას პროექტში ცვლილების შეტანის თხოვნით, რადგან პროექტში გამორჩენილი იყო შენობის სახურავის და სარეპეტიციო დარბაზის მოწყობა, ასევე შესატანი იყო სხვა სახის ცვლილებები, რაც ეტაპობრივად განხორციელდა. მიმწოდებელმა ვადების დაგვიანებით, არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და დაჯარიმდა 18,206.6 ლარით.

ამასთანავე საყურადღებოა, რომ მუნიციპალიტეტის საპროექტო განყოფილებამ ხარისხის დადგენის გარეშე ჩაიბარა ხარვეზიანი პროექტი⁴⁰. დოკუმენტაციის ავტორი შპს „აგროსერვისის“⁴¹ მიმართ დაშვებული უზუსტობებისათვის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები არ გატარებულა.

³⁶ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N2635, 11.12.2017.

³⁷ ხელშეკრულება N195, 05.09.2016, ღირებულებით – 4200 ლარი. პირგასამტეხლო ხელშეკრულების 5%, არა უმეტეს 210 ლარი.

³⁸ NAT180003118 ხელშეკრულება N63, 27.04.2018, ღირებულებით – 194 190 ლარი.

³⁹ SPA160017511.

⁴⁰ საპროექტო განყოფილებაში მუშაობდა 5 თანამშრომელი, მათზე გაწეულმა ხარჯებმა 2017 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით, 51 675 ლარი შეადგინა.

⁴¹ ხელშეკრულება N 226, 22.10.2015 – ღირებულებით 6190 ლარი (პროექტის – 4690ლ), პირგასამტეხლო – ხელშეკრულების 5% - არა უმეტეს – 309,5 ლარი.

დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს საპროექტო განყოფილების სახით გააჩნდა რესურსი⁴² იმისა, რომ თავიდან აეცილებინა უხარისხო ან დაბალი ხარისხის საპროექტო დოკუმენტაციის მიღება, მუნიციპალიტეტმა ვერ განახორციელა საპროექტო სამუშაოთა შესრულების პროცესში არსებული ხარვეზების დროული გამოვლენა და სათანადო რეაგირება. საპროექტო განყოფილებამ, დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას, მომსახურების ხარისხის დადგენის გარეშე ჩაიბარა ხარვეზიანი პროექტები და შემსრულებელი კომპანიების მიმართ, დაშვებული უზუსტობების გამო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები არ გაატარა. მუნიციპალიტეტმა ვერ შეძლო მის ხელთ არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება და არ უზრუნველყო ქმედითი ღონისძიებების განხორციელება. შედეგად, სახეზეა ხარვეზებით დაგეგმილი ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტები, რის გამოც ფერხდება მათი შესრულება და შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობა დაგვიანებით იღებს განხორციელებული პროექტების შედეგად მიღებულ მატერიალურ სიკეთეს.

რეკომენდაცია N6: მუნიციპალიტეტმა, მის ხელთ არსებული რესურსები გამოიყენოს ეფექტიანად და გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, რათა შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები მუნიციპალური ინტერესების დაცვით, მაღალი პროფესიონალიზმით შეასრულოს. იმ შემთხვევაში, თუ მის დაქვემდებარებაში მყოფი ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის საპროექტო განყოფილება ვერ უზრუნველყოფს მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას, მიზანშეწონილია, მერიამ გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებები. ასევე საპროექტო სამუშაოების შესყიდვისას, უზრუნველყოს შესაბამისი სამსახურების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმების გამოყენება. კერძოდ, შესაბამისმა სამსახურმა განახორციელოს გაწეული და გასაწევი მომსახურების მოცულობის და ხარისხის დადგენა, ხოლო შეუსაბამობის შემთხვევაში, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. კომპეტენციის ნაკლებობის შემთხვევაში, განახორციელოს პროექტის საექსპერტო კვლევა, რათა მიიღოს მაღალი რწმუნება იმის შესახებ, რამდენად ხარისხად არის შესრულებული პროექტი.

შესრულებული სამუშაოების მიღება

კრიტერიუმი: მშენებლობის ორგანიზების პროექტი უნდა მოიცავდეს ფარული სამუშაოების დათვალიერებისა და გამოცდის აქტების ჩამონათვალს, რომელიც

⁴² საპროექტო განყოფილებაში მუშაობდა 5 თანამშრომელი, მათზე გაწეულმა ხარჯებმა 2017 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 51 675 ლარი შეადგინა.

მშენებლობის პროცესის დროს უნდა შედგეს⁴³. სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად, განსაზღვრულია ფარული სამუშაოების სახეობები, რომელთა მიღებაც სათანადო შემოწმების შედეგად შედგენილი აქტების საფუძველზე უნდა მოხდეს.

გამოვლენილი გარემოება: აუდიტის პერიოდში, არასრულად ხდებოდა სამშენებლო-სარემონტო პროექტების ფარგლებში შესრულებული ფარული სამუშაოების აღრიცხვა. კერძოდ, ობიექტის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტები 424,832.1 ლარის სამუშაოებზე.

ცხრილი №4. მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული ფარული სამუშაოების ღირებულებები (ლარი)

N	შესყიდვის საგანი	ხელშეკრულება	ხელშეკრულების ღირებულება	სამუშაოების ღირებულება, რომელზეც არ არის წარმოდგენილი ფარული სამუშაოს აქტები
1	2 სოციალური სახლის მშენებლობა	N72 01.04.2016	1,417,352	363,565.97
2	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საყრდენი კედლებისა და მოაჯირების მოწყობის სამუშაოები	N80 16.03.2017	105,849	12,039.47
3	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საყრდენი კედლებისა და მოაჯირების მოწყობის სამუშაოები	N100 11.04.2017	125,240	9,558.94
4	სოფ. ზანაქიძეებისა და ხელვაჩაურის საზღვარზე (თავკალოს დასახლებაში) 115 ოჯახისათვის სასმელი წყლის, ჭაბურღილის, რეზერვუარისა და მაგისტრალის მოწყობა	N103 18.04.2017	137,999	39,667.67
ჯამი:			1,786,440	424,832

შესაბამისად, ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში, აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ იქნა მიღებული რწმუნება ფარული სამუშაოების საპროექტო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ნაწილში, ხარისხის უზრუნველყოფისათვის არ გამოიყენება საექსპერტო შემოწმებების ჩატარების მოთხოვნა. იმ შემთხვევებში, სადაც ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნაა, ირკვევა, რომ ფარულ სამუშაოთა კატეგორიის ნაწილში, რომელთა გაზომვაც ექსპერტიზის პერიოდში შეუძლებელი იყო, გათვალისწინებულ იქნა ფარული სამუშაოების აქტებში წარმოდგენილი ინფორმაცია, ხოლო იმ სამუშაოზე, რომელზეც არ არის წარმოდგენილი ფარული სამუშაოს აქტები, გათვალისწინებულ იქნა წარმოდგენილი ფორმა N2-ების შესაბამისად. ცხრილში

⁴³ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ 61-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

მოცემულ შემთხვევებში, აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის შემთხვევაში, ვერ იქნა წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტები 940,381 ლარიდან – 424,832 ლარის ფარულ სამუშაოებზე.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ ფლობს საკმარის მტკიცებულებებს, კონკრეტული ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების სრული მოცულობებისა და ხარისხის შესახებ.

დასკვნა: მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სრულად მოქმედი წესებისა და ნორმების დაცვით შესრულებას, რაც ფარული სამუშაოების სრულად განხორციელების დამადასტურებელი და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის არარსებობაში გამოიხატება. სამუშაოების ღირებულება, რომელზეც არ არის წარმოდგენილი ფარული სამუშაოს აქტები შეადგენს 424,832 ლარს.

რეკომენდაცია N7: მუნიციპალიტეტის მერიამ კონკრეტული შესყიდვის თავისებურებების გათვალისწინებით, განსაზღვროს ფარული სამუშაოების სახეები, რომელთა მიღებაც სათანადო შემოწმების შედეგად შედგენილი აქტების საფუძველზე უნდა მოხდეს. ამასთანავე, სამუშაოების შესყიდვისას შესაბამისმა პასუხიმგებელმა პირებმა განახორციელონ ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების სრულ და ხარისხიან მიწოდებას. ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს ფარული სამუშაოების ფაქტობრივად შესრულების მდგომარეობის დადგენა და უზუსტობების არსებობის პირობებში, უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების ბიუჯეტში დაბრუნება.

სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები

კრიტერიუმი: მოქმედი რეგულაციებით⁴⁴, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პროცესი დაგეგმოს და განახორციელოს ისე, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო ან/და დაბალი ხარისხის საქონლის/მომსახურების შეძენა. ამასთანავე, ხელშეკრულების⁴⁵ პირობების მიხედვით, შემსყიდველის მიერ საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, მიმართვის საფუძველზე შემსრულებელი

⁴⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მითითებები და რეკომენდაციები. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 სექტემბრის N27 დადგენილება.

⁴⁵ ხელშეკრულება N114, 28.04.2017; ხელშეკრულება N202, 14.09.2016; ხელშეკრულება N82, 08.04.2016; ხელშეკრულება N156, 14.07.2016.

ვალდებულია დაზიანება ან/და უხარისხოდ შერულებული სამუშაო გამოსწოროს საკუთარი ხარჯებით.

გამოვლენილი გარემოება N1: მუნიციპალიტეტის მიერ შპს „დიდგორთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულება 106,555 ლარით განისაზღვრა⁴⁶, ხოლო გაწეულ სხვადასხვა სამუშაოზე⁴⁷, საგარანტიო ვადად მითითებული იყო 3-დან 5 წლამდე პერიოდი. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სამუშაოები დამაკმაყოფილებლად შეფასდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილებამ⁴⁸ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის დადგენის მიზნით, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე სათანადო კონტროლი და შესაბამისი ზედამხედველობა ვერ განახორციელა.

ობიექტის ვიზუალური დათვალიერებით და შენობაში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლების გამოკითხვით დადგინდა, რომ სამუშაოები ხარვეზებით არის შესრულებული. შენობაში საკანალიზაციო სისტემა ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს. ელექტროსადენების გაუმართაობის გამო, შენობის ერთ-ერთ ოთახში გაჩნდა ხანძარი. შესაბამისი უწყების წერილით⁴⁹ ირკვევა, რომ 2018 წლის 8 იანვარს შენობაში არ ფუნქციონირებდა საპირფარეშო, არ იყო წყალი, განათება, დაზიანებული იყო ელექტროსადენები და არ ფუნქციონირებდა გათბობის სისტემა. ნაცვლად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს მოეთხოვა მიმწოდებლისგან უხარისხოდ შესრულებული სარემონტო სამუშაოების გამოსწორება, მისივე დავალებით, ხარვეზების ნაწილის მოგვარება მოხდა მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული შპს „ხელვაჩაურის წყალკანალის“ მიერ. აღდგა ელექტრომომარაგება და საპირფარეშოში მოეწყო წყალმომარაგება.⁵⁰

ასევე შენობაში მომუშავე პირების გამოკითხვით დადგინდა, რომ კვლავ გაუმართავია საკანალიზაციო სისტემა, ელექტროსადენები, ისევ არ მოქმედებს და არ ჩართულა გათბობის სისტემა. ჯამში 10,457 ლარის⁵¹ ღირებულების სამუშაოები ხარვეზებით არის შესრულებული.

⁴⁶ ხელშეკრულება N114, 28.04.2017; NAT160004879.

⁴⁷ სახურავსა და კარ-ფანჯრებზე – 5 წელი, ელექტრო გაყვანილობაზე – 3 წელი, წყლისა და საკანალიზაციო მიწებზე – 3 წელი.

⁴⁸ მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილებაში ამ პერიოდში მუშაობდა 5 თანამშრომელი, მათზე გაწეულმა ხარჯებმა 2017 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 60,330 ლარი შეადგინა.

⁴⁹ ა(ა)იპ – „ხელვაჩაურის სასაფლაოების“ წერილი N01-05/03; 08.01.2018.

⁵⁰ შპს „ხელვაჩაურის წყალკანალის“ წერილი N01-05/24.

⁵¹ საკანალიზაციო სისტემა – 2 084 ლარი, ელექტროსამუშაოები – 2 364 ლარი, გათბობის სისტემა – 6 009 ლარი.

გამოვლენილი გარემოება N2: მუნიციპალიტეტის მიერ შპს „ნევ სტაილ ბილდინგთან“ გაფორმებული ხელშეკრულების⁵² შესაბამისად, შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულება 422,199 ლარით განისაზღვრა, სადაც გაწეულ სხვადასხვა სამუშაოზე⁵³ საგარანტიო ვადად მითითებული იყო 3-დან – 5 წლამდე პერიოდი. სოფელ ახალშენის მუსიკალური სკოლისა და კულტურის სახლის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე გაცემული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სამუშაოები დამაკმაყოფილებლად შეფასდა. თუმცა ჩვენ მიერ ობიექტის ვიზუალური დათვალიერებით გამოვლინდა რიგი დეფექტები. კერძოდ, შენობის მეორე სართულის რამდენიმე ოთახში, სახურავიდან ჩამოსული წყლის გამო, ჭერი და კედლები დაზიანებულია (იხ. სურათი N1), რაც ნათლად ასახავს, რომ მუნიციპალიტეტის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილებამ, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის დადგენის მიზნით, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე სათანადო კონტროლი და შესაბამისი ზედამხედველობა ვერ განახორციელა.

სურათი N1. სოფელ ახალშენის მუსიკალური სკოლისა და კულტურის სახლის შენობის დაზიანებული ჭერი და კედლები



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს მერიის მიერ წერილობით,⁵⁴ რამდენჯერმე მოთხოვნილ იქნა მიმწოდებლისთვის უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორება – ჭერისა და კედლების შეკეთება, თუმცა უშედეგოდ. კომპანიას ხარვეზები არ გამოუსწორებია, ხოლო მუნიციპალიტეტს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები არ გაუტარებია.

გამოვლენილი გარემოება N3:

ხელვაჩაურში გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული კულტურის სახლის რეკონსტრუქციის სამუშაოები ორ ეტაპად მიმდინარეობდა და 2017 წელს დასრულდა. პირველი ეტაპის შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულება 837,555

⁵² ხელშეკრულება N202, 14.09.2016 - SPA 160017511.

⁵³ სახურავზე და კარ-ფანჯრებზე – 5 წელი, ელექტროგაყვანილობაზე – 3 წელი.

⁵⁴ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის წერილები: N05/7030; N05/5874; N05/3935; N05/3669.

ლარით განისაზღვრა. ხელშეკრულებაში⁵⁵ შესრულებულ სხვადასხვა სამუშაოზე⁵⁶ საგარანტიო ვადად მითითებულია 3-დან – 15 წლამდე პერიოდი.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებით და სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია ექსპერტიზა, შესრულებულ სამუშაოთა როგორც ხარისხზე, ისე – მოცულობაზე, თუმცა ექსპერტიზის დასკვნა წარმოდგენილია მხოლოდ სამუშაოთა მოცულობაზე. მიუხედავად ამისა, ხარისხის დაუდასტურებლობის პირობებში, მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულია 837,374 ლარი.

ასევე მუნიციპალიტეტის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილებამ, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის დადგენის მიზნით, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე სათანადო კონტროლი და შესაბამისი ზედამხედველობა ჯეროვნად არ განახორციელა. აღსანიშნავია, რომ ობიექტის ვიზუალური დათვალიერებით გამოვლინდა რიგი დეფექტები. კერძოდ, შენობის მეორე სართულზე სარეპეტიციო დარბაზის გვერდით ოთახში, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სახურავიდან ჩამონადენი წყლის გამო, ჭერი და კედლები დაზიანებულია. ასევე დაზიანებულია პირველი სართულის ოთახიც, რომლის ჭერი გაბზარული და ჩამოწეულია (იხ. სურათი N2). შენობაში განთავსებული კულტურის ცენტრის დირექტორმა მუნიციპალიტეტს წერილობით⁵⁷ აცნობა აღნიშნული პრობლემის შესახებ, თუმცა მუნიციპალიტეტს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები არ გაუტარებია.

სურათი N2. ხელვაჩაურის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული კულტურის სახლის პირველი და მეორე სართულის ოთახები



გამოვლენილი გარემოება N4: ხელვაჩაურში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და შპს „ნიკას“ შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება⁵⁸, რომლის ღირებულება 580,288 ლარით განისაზღვრა. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, მხარეებს

⁵⁵ ხელშეკრულება N82, 08.04.2016; SPA 160003532.

⁵⁶ სახურავზე – 15 წელი, კარ-ფანჯრებზე – 5 წელი, ელექტროგაყვანილობაზე – 3 წელი, წყლისა და საკანალიზაციო მიწებზე – 10 წელი და სხვ.

⁵⁷ ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურის სახლის წერილი N 1-09/58, 24.04.2018.

⁵⁸ ხელშეკრულება N156, 14/07/2016 SPA160016508.

შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებისა და აკრედიტებული პირის⁵⁹ მიერ გაცემული ინსპექტირების ანგარიშების საფუძველზე, მიმწოდებელზე ჯამში გადახდილია 578,406 ლარი.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ბაღის ფუნქციონირების პირობებში, შენობის სარდაფი ორივე მხარე არის დატბორილი (იხ. სურათი N3). მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა აღნიშნული ხარვეზის გამომწვევი მიზეზის დასადგენად და მის გამოსასწორებლად ღონისძიებები არ განახორციელა.

სურათი N3. ხელვაჩაურის საბავშვო ბაღის დატბორილი სარდაფი



დასკვნა: მუნიციპალიტეტმა შექმნილ გარემოებებში, სამ შემთხვევაში არ მოახდინა ხელშეკრულების შესრულების პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენა და სათანადო რეაგირება. მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილებამ, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის დადგენის მიზნით, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე სათანადო კონტროლი და შესაბამისი ზედამხედველობა არ განახორციელა. საგარანტიო ვადების მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილებები და მიმწოდებლის მიმართ არ განახორციელა კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებები. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორების მოთხოვნის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებლობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებების გაუტარებლობა, მხარეთა შორის შეთანხმებული (გარიგებით) ქმედების რისკებზე მიუთითებს.

რეკომენდაცია N8: მუნიციპალიტეტმა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვისას უზრუნველყოს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხისა და მოცულობის სათანადო საქსპერტო კვლევების მოთხოვნა და შესაბამისად, მიიღოს მაღალი რწმუნება, რომ შესყიდული სამუშაოების ხარისხი და მოცულობა შეესაბამება ხელშეკრულებებით

⁵⁹ შპს „მშენ-ექსპერტი“.

განსაზღვრულ პირობებს და მხოლოდ შემდგომ განახორციელოს ანგარიშსწორება. ასევე დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც სამუშაოების ჩატარების პროცესში სისტემატური მონიტორინგის საშუალებით, დროულად და სრულად გამოავლენს და აღმოფხვრის ხარვეზებს, რაც მთლიანად პროექტის წარმატებით განხორციელებას, ობიექტის გამართულ ფუნქციონირებას და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მისი ექსპლუატაციის საშუალებას უზრუნველყოფს. მუნიციპალიტეტმა გამოიკვლიოს კონკრეტული შემთხვევების გამომწვევი დეტალური მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

სასმელი წყლის მექანიკური სადუზინჟექციო დანადგარების შესყიდვა

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო შესყიდვის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა და შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა. ამათანავე, N199 ხელშეკრულების⁶⁰ პირობების მიხედვით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მიწოდებული ვალდებულია განახორციელოს შემსყიდველის პერსონალის ტრენინგი/გადამზადება.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ, ოთხ წყალსადენზე⁶¹ მექანიკური სადუზინჟექციო დანადგარების მიწოდება-დამონტაჟების მიზნით, 2017 წელს ელექტრონული ტენდერი სამჯერ გამოცხადდა, სავარაუდო ღირებულებით 379,400 ლარი. პირველ შემთხვევაში⁶² ტენდერი არ შედგა. მეორე შემთხვევაში შემსყიდველმა შეამცირა მოთხოვნილი საგარანტიო ვადა სამიდან ორ წლამდე, ისე რომ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში⁶³ აღნიშნული ცვლილების განხორციელების საჭიროებაზე არ უმსჯელია. მას შემდეგ რაც ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად⁶⁴, ერთადერთმა პრეტენდენტმა შპს „ეკოფრემ“, სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით 99,400 ლარით ნაკლები ფასი დააფიქსირა, ტენდერი⁶⁵ შეწყდა, ვინაიდან შესყიდვების მარეგულირებელი ნორმების შეუსაბამოდ სატენდერო დოკუმენტაციაში საფირმო ნიშანი იყო მითითებული. მესამედ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში, შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე,

⁶⁰ ხელშეკრულება N 199, 06.09.2017. მე-7-ე მუხლის 7.3 პუნქტის შესაბამისად.

⁶¹ ახალშენი-სალიბაურის, სარფის, შუა მახინჯაურისა და თხილნარის აგარის წყალსადენები.

⁶² NAT170003660.

⁶³ ოქმი N1, 2017 წლის 4 მაისი.

⁶⁴ ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად, 2014-2017 წლებში ანალოგიური ტიპის საქონელზე 400 000 ლარის მიწოდებისა და მონტაჟის გამოცდილება საკართველოს მასშტაბით. მოწოდებისა და მონტაჟის ვადა – ხელშეკ. გაფორმებიდან 3 თვე.

⁶⁵ NAT170004966 შეწყდა – ფასების ცხრილში შეცდომით იყო მითითებული მწარმოებელი კომპანიის სახელი, რაც კანონმდებლობით დაუშვებელია.

მოთხოვნები კვლავ შეიცვალა. კერძოდ, გამოცდილების პერიოდი ერთი წლით შემცირდა,⁶⁶ ხოლო 2-ჯერ გაიზარდა შესრულებული სამუშაოების ღირებულებითი ნაწილი.⁶⁷ ასევე სამი თვიდან ორ თვემდე შემცირდა დანადგარების მიწოდება-მონტაჟის ვადა. შპს „ეკოფრემ“ დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრა სატენდერო დოკუმენტაციის ცვლილებები.⁶⁸ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და დადგინდა, რომ სატენდერო კომისიას უნდა დაესაბუთებინა აღნიშნული ცვლილებები და მხოლოდ ამომწურავი ანალიზის შემდეგ მიეღო არგუმენტირებული გადაწყვეტილება. მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ შესაბამისი ოქმის თანახმად, იმსჯელა ამ საკითხებზე და ბაზრის კვლევის შედეგად დაადგინა, რომ შპს „სენტინელი ჯიემჯის“ მაგალითზე შესაძლებელი იყო ორ თვეში საქონლის მიწოდება. საბოლოოდ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების⁶⁹ მიხედვით, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 379,400 ლარით, საქონლის მიღება და მონტაჟი უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 2 თვის ვადაში – 2017 წლის 7 ნოემბრამდე. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებლის – Fujian HADA Intelligence Technology Co. LTD-ის ქვეკონტრაქტორი კომპანია – შპს „სენტინელი ჯი ემ ჯი“⁷⁰ ასევე გასათვალისწინებელია, რომ შესასყიდი დანადგარების შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენა⁷¹ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა იმავე კომპანიის – „შპს სენტინელი ჯიემჯის“ მიერ წარდგენილ ფასზე დაყრდნობით.

Fujian HADA Intelligence Technology Co. LTD-სა და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების⁷² აქტით დადგინდა, რომ საქონლის მიღება ოთხივე⁷³ წყალსადენზე გახორციელდა, თუმცა ელექტროენერგიის არარსებობის გამო ვერ მოხერხდა მექანიკური სადენინფექციო დანადგარების ინსტალაცია. შესაბამისად, დოკუმენტაციის თანახმად დასტურდება მხოლოდ მიწოდება, თუმცა არ დგინდება, როდის მოხდა საბოლოოდ აღნიშნული დანადგარების დამონტაჟება. აუდიტის ჯგუფის მიერ მოპოვებული დოკუმენტაციით⁷⁴ დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანადგარების

⁶⁶ ნაცვლად 2014-2017 წლებისა, მითითებულია 2015-2017 წლები.

⁶⁷ 400 000 ლარიდან გაზარდეს 800 000 ლარამდე.

⁶⁸ DIS170006348_01(NAT).

⁶⁹ ხელშეკრულება N199, 06.09.2017, მომწოდებელი – Fujian HADA Intelligence Technology Co. LTD.

⁷⁰ ხელშეკრულებით შპს „სენტინელი ჯიემჯი“ უზრუნველყოფს როგორც საბაჟო პროცედურებს, ასევე საქონლის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებასა და მონტაჟს.

⁷¹ აღნიშნულ პროდუქციაზე ბაზრის კვლევის ფარგლებში წერილობითი მოთხოვნები სავარაუდო ფასის დადგენასთან დაკავშირებით არ განხორციელებულა, მოიპოვება მხოლოდ შპს „სენტინელი ჯიემჯის“ პრეისკურანტი.

⁷² მიღება-ჩაბარების აქტი 06.11.2017 ; NAT170006348, 09.06.2017.

⁷³ ახალშენი-სალიბაურის, სარფის, შუა მახინჯაურისა და თხილნარის აგარის წყალსადენები.

⁷⁴ მომწოდებელი კომპანიის წარმომადგენლის, ვლადიმერ ლომამის წერილი, სადაც უთითებს, რომ დანადგარების მონტაჟისთვის შენობებში არ არის მიყვანილი ელექტო და წყლის მომარაგება, ინსტალაცია ვერ

ინსტალაციისთვის აუცილებელი წყლისა და ელექტროენერგიის მიერთება ობიექტებზე დროულად არ განხორციელდა. შესაბამისად, დამონტაჟებაც აღნიშნულ ობიექტებზე მოხდა ზამთარში, ქვემოთ მითითებულ თარიღებში.

ცხრილი N5. ინფორმაცია სასმელი წყლის მექანიკური სადებიზინფექციო დანადგარების მიწოდება-მონტაჟის ადგილებზე, წყლისა და ელექტროენერგიის მიყვანის თარიღების შესახებ

N	დანადგარების მიწოდება-მონტაჟის ადგილი	ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების თარიღი	წყლის მიერთების თარიღი
1	ახალშენი- სალიბაური	16.02.2018	27.12.2017
2	სარფი	28.12.2017	17.01.2018
3	შუა მახინჯაური	15.12.2017	21.12.2017
4	თხილნარის აგარა	29.12.2017	16.02.2018

მუნიციპალიტეტმა დანადგარების ექსპლუატაციისთვის საჭირო პირობები საქონლის მიწოდების ვადის გასვლიდან 3 თვის შემდეგ უზრუნველყო (იხ. ცხრილი N5). შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაციაში მიწოდების ვადის 3-დან 2 თვემდე შემცირების აუცილებლობა ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე არ დასტურდება.

ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელთან ანაგრიშწორება უნდა განხორციელდებოდა საქონლის მიწოდებისა და მონტაჟის შემდეგ. იმ პირობებში, როდესაც არ განხორციელდებოდა დანადგარების მონტაჟი, მიმწოდებლისთვის სრულად არის ანაზღაურებული ხელშეკრულების ღირებულება⁷⁵, მათ შორის, მონტაჟის ფასი – მინიმუმ 8,000 ლარი.⁷⁶

ხელშეკრულება აგრეთვე ითვალისწინებდა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ორგანიზაციის პერსონალის ტრენინგსა და გადამზადებას, თუმცა აღნიშნულის თაობაზე მუნიციპალიტეტს ოფიციალურად არ მიუმართავს მიმწოდებლისთვის და შესაბამისად, ტრენინგი დღემდე არ ჩატარებულა. იმ პირობებში, როდესაც სამ წყალსადენზე, შესაბამის დანადგარებზე არ მოიპოვება ტექნიკური პასპორტი ან სხვა სახელმძღვანელო, არსებობს რისკი იმისა, რომ აღნიშნული დანადგარების ექსპლუატაცია სწორად არ ხორციელდება. აუდიტის ჯგუფის მიერ მოხდა ოთხივე წყალსადენზე არსებული დანადგარის ფიზიკური დათვალიერება და დადგინდა, რომ ორ შემთხვევაში მექანიკური სადებიზინფექციო დანადგარის ეკრანი ხარვეზით ფუნციონირებს: ერთ ეკრანზე მუდმივად 0-ია და

ხდება და ითხოვს მოწოდების და მონტაჟის ვადის გაგრძელებას 2017 წლის 15 ნოემბრამდე, შესაბამისი სანქციების გარეშე.

⁷⁵ 379,400 ლარი.

⁷⁶ მიმწოდებლის მიერ ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულება N0709-1 07.09.2017, პუნქტი 1.4, საქონლის მონტაჟი – 8 000 ლარი.

მაჩვენებელი არ იცვლება. მესამე შემთხვევაში აუდიტის ჯგუფის გასვლის დღეს, დაზიანდა დანადგარის ანალიზატორის პლატა,⁷⁷ ხოლო მეოთხე დანადგარი მიმდინარე წლის 13 ოქტომბრიდან წყალსადენზე სარემონტო სამუშაოების გამო, დროებით გამორთულია.

დასკვნა: მუნიციპალიტეტმა შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე, დაუსაბუთებლად შეცვალა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნები და ამით შეზღუდა შესყიდვებში მონაწილე პრეტენდენტების რაოდენობა. სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნების – მიწოდების ვადების შეცვლა, დაუსაბუთებელია, ზღუდავს კონკურენციას და წარმოშობს სატენდერო პირობების ცალკეულ პრეტენდენტზე მისადაგების რისკს.

იმ პირობებში, როდესაც შესრულდა ხელშეკრულების მხოლოდ ნაწილი – საქონლის მიწოდება მონტაჟის გარეშე, მიმწოდებლისთვის სრულად ანაზღაურებულია ხელშეკრულების ღირებულება. შემსყიდველმა არ გამოიყენა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ორგანიზაციის პერსონალის გადამზადების მოთხოვნის უფლება. არსებობს ალბათობა იმისა, რომ აღნიშნული დანადგარების ექსპლუატაცია სწორად არ ხორციელდება, რაც, თავის მხრივ, მიანიშნებს კონკრეტული კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ არამართლზომიერი გარიგების რისკზე.

რეკომენდაცია N9: მუნიციპალიტეტმა, სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისას და ტექნიკურ დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის პროცესში, იმსჯელოს შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფის მიზნებიდან და რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე განახორციელოს სატენდერო წინადადების ცვლილებები. რაც აგრეთვე საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ერთ-ერთი წინაპირობაა. ასევე დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების და ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებას. გამოიკვლიოს კონკრეტული შემთხვევების გამომწვევი დეტალური მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

გარე განათების ტექნიკური მომსახურება

კრიტერიუმი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათების წერტილის ტექნიკური მომსახურების შესყიდვის⁷⁸ ფარგლებში, შპს „განათებასთან“ 2016 წლის 26

⁷⁷ შპს „ხელვაჩაურის წყალკანალის“ დეფექტური აქტი, 2018 წლის 24 ოქტომბერი.

⁷⁸ SPA160030035,

დეკემბერს გაფორმებული N262 ხელშეკრულების მიხედვით⁷⁹, შესყიდვის ობიექტია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2,470 გარე განათების წერტის⁸⁰ ტექნიკური მომსახურება, რომელიც გულისხმობს მათ ყოველდღიურ ექსპლუატაციას. მათ შორის: სადენების და სანათების დამჭერების შემოწმებას, გადამწვარი ნათურების და დაზიანებული კაბელის შეცვლას, საჰაერო ხაზების შემოწმებას, დაზიანების აღმოფხვრას, მრიცხველის მოწესრიგებას და ყოველდღიური ჩანაწერების გაკეთებას სპეციალურ ჟურნალში⁸¹.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2014, 2015, 2016 წლებში შპს „განათებასთან“ და სხვა კომპანიებთან გარე განათების მოწყობაზე⁸² გაფორმებულ ხელშეკრულებებში, საგარანტიო ვადად მითითებულია, არანაკლებ, 12 - 24 თვე, სამუშაოების დასრულების დღიდან, რაც გულისხმობს ამ პერიოდში ტექნიკური მომსახურების საკუთარი ხარჯებით განხორციელებას.

გამოვლენილი გარემოება: 2017 წელს გარე განათების 2,470 ერთეული წერტის ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულია ტენდერი⁸³. იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული გარე განათების წერტების რაოდენობა მუნიციპალიტეტის საბუღალტრო ჩანაწერებში არ ირიცხება და ობიექტის განმარტებით, მათი დათვლა მოხდა გამგებლის წარმომადგენლების ზეპირი გამოკითხვის საფუძველზე, 2,470 ერთეული გარე განათების წერტის ტექნიკური მომსახურების შესყიდვის აუცილებლობა არ დასტურდება.

ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტურად არ დასტურდება 2,470 ერთეულ წერტზე გაწეული მომსახურება. კერძოდ, ყოველდღიურად სადენების და სანათების დამჭერების შემოწმება, გადამწვარი ნათურების და დაზიანებული კაბელის შეცვლა, საჰაერო ხაზების შემოწმება და დაზიანების აღმოფხვრა, მრიცხველის მოწესრიგების მომსახურება და სხვ. ასევე არ დასტურდება, თუ რომელ უბანზე ან წერტზე განხორციელდა მომსახურება და რა რაოდენობის სამუშაოები შესრულდა. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლის წერილობითი განმარტებით, მიმწოდებელს არ წარმოუდგენია

⁷⁹ ღირებულებით 60 000 ლარი.

⁸⁰ გარე განათების წერტი - სატენდერო პირობისა და ხელშეკრულების ჩანაწერია, რაც გულისხმობს განათების ბოძს, მასზე დამონტაჟებული სანათებით.

⁸¹ ჟურნალი, სადაც ფიქსირდება ინფორმაცია ყოველდღიურად განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

⁸² ლითონის საყრდენებისა და სანათების დადგმას (განათების ბოძები), სადენების გაყვანას, ელ. კარადისა და ფოტო რელეს მონტაჟს ავტომატითა და საკეტით და სხვ.

⁸³ გამოცხადების საფუძველია ა(ა)იპ - ხელვაჩაურის გამწვანების დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურის წერილი N01-5/203, 05.12.2016.

სპეციალური ჟურნალი⁸⁴. სადაც უნდა გაკეთებულიყო ყოველდღიური ჩანაწერები გაწეული მომსახურების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ 2014, 2015, 2016 წლებში მუნიციპალიტეტს არაერთი ხელშეკრულება აქვს დადებული, როგორც შპს „განათებასთან“, ასევე სხვა კომპანიებთან გარე განათების მოწყობაზე⁸⁵, რომლებსაც გაჩნია საგარანტიო ვადები და გულისხმობს განათების წერტილის მოწყობიდან 12 თვიდან 24 თვის ვადით მათ უსასყიდლოდ მომსახურებას. შესაბამისად, 2017 წელს გარე განათების წერტილის ტექნიკური მომსახურების შესყიდვის სწორად დაგეგმვის შემთხვევაში მუნიციპალიტეტს საგარანტიო ვადის მქონე წერტილები მხოლოდ მაშინ უნდა შეეყვანა ხელშეკრულებაში, როდესაც ამოიწურებოდა გარანტიის მოქმედების ვადა, რაც არ განუხორციელებია და მომსახურებას მთელი წლის განმავლობაში ყიდულობდა უცვლელად, 2,470 ერთეულ გარე განათების წერტილზე. წინა წლებში განხორციელებული შესყიდვების ანალიზით დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტს 2017 წლის პირველ კვარტალში ტექნიკური მომსახურება უნდა გაეწია 1,701 ერთეულ⁸⁶ გარე განათების წერტილზე, აპრილში – 1,940 ერთეულ, ხოლო მაისში – 2,310 ერთეულ გარე განათების წერტილზე, ნაცვლად 2,470 წერტილისა. შედეგად, მუნიციპალიტეტს შეეძლო დაეზოგა არანაკლებ 6,067 ლარი და 2017 წელს გარე განათების წერტილის ტექნიკური მომსახურების შესყიდვის ფარგლებში, ჯამში 60,000 ლარის ნაცვლად, გადაეხადა არა უმეტეს 53,933 ლარი.

დასკვნა: მუნიციპალიტეტში არ არსებობს გარე განათების წერტილის აღრიცხვის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტი ინფორმაციის მოწოდებას – წერტილის რაოდენობის, ადგილმდებარეობის, მათი მდგომარეობის და გარანტიის ვადების შესახებ. ამასთანავე, 2017 წელს გარე განათების წერტილის ტექნიკური მომსახურების შესყიდვის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული 2015-2016 წლებში მოწყობილი გარე განათების წერტილის საგარანტიო ვადის ამოწურვის საკითხი და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წელს გარე განათების წერტილის ტექნიკური მომსახურების შესყიდვის ფარგლებში გადახდილია, მინიმუმ, 6,067 ლარით მეტი. ასევე ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციით არ დასტურდება 2017 წელს გარე

⁸⁴ სახელშეკრულებო ობიექტის მოკლე ტექნიკური აღწერილობა, დანართი N2, პუნქტი N14.

⁸⁵ 2014 წელს – 210 ერთეული (გარანტია 2 წელი).

2015 წელს – 811 ერთეული (გარანტია 2 წელი).

2016 წელს – 727 ერთეული (გარანტია 1 წელი).

⁸⁶ 2017 წელს საწყისი რაოდენობა – 1701 ერთეული გაანგარიშებულია შემდეგი მონაცემების გათვალისწინებით: 2016 წლის გარე განათების წერტილის ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მონაცემს – 1491 ერთეულს, ემატება 2014 წელს გარე განათების წერტილის მოწყობა – 210 ერთეული, რომელსაც საგარანტიო ვადა ეწურებოდა 2016 წლის ბოლოს.

განათების წერტილის ტექნიკური მომსახურების შესყიდვის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება.

რეკომენდაცია N10: მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს გარე განათების წერტილის აღრიცხვა, მათი იდენტიფიკაცია და ზუსტი რაოდენობის დადგენა; გამიჯნოს გარანტიის მქონე წერტილები და მხოლოდ საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ გაითვალისწინოს ისინი გარე განათების წერტილის ტექნიკური მომსახურების თაობაზე განსახორციელებელ შესყიდვაში; გარე განათების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებაზე კონტროლის განხორციელებისას, დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც დოკუმენტური აღრიცხვის პირობებში უზრუნველყოფენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებას.

საწვავის ხარჯი

კრიტერიუმი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა ტრანსპორტით და საწვავით უზრუნველყოფის შესახებ, მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების მიხედვით⁸⁷, სამსახურბრივი მოვალეობის შესრულებისთვის საწვავის გამოყოფა ლიმიტირებულად ხდება, როგორც მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ, ასევე თანამშრომელთა კერძო მფლობელობაში არსებულ ავტომანქანებზე.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად, სუბსიდიები წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულის მიერ უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს, რომელიც უნდა მოხმარდეს ორგანიზაციის მიმდინარე მიზნების მიღწევას. ასევე ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებებზე, გახარჯული საწვავის ხარჯად აღიარებისთვის დოკუმენტურად უნდა დადასტურდეს⁸⁸ შეძენილი და გახარჯული საწვავის საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება.

გამოვლენილი გარემოება N1: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს, 2017 წელს ბალანსზე რიცხულ 16 ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ლიმიტის ფარგლებში გახარჯული აქვს 48,452 ლიტრი საწვავი. ასევე თანამშრომელთა საკუთრებაში არსებულ 23 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დადგენილია საწვავის ლიმიტები. აღნიშნული ლიმიტების ფარგლებში გაცემულია 33,977 ლარის ღირებულების 18,986 ლიტრი საწვავი, საიდანაც 32,049 ლარის, 17,966 ლიტრი საწვავის ხარჯვაზე არ არის წარმოდგენილი

⁸⁷ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბრძანება N23, 11.01.2017.

⁸⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანებით დამტკიცებული

„ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე (ავტოსატრანსპორტი, სპეც ტექნიკა და სხვ.) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესი.

სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მაგალითად: აუდიტის მიმდინარეობისას დადგინდა, რომ ერთ-ერთი თანამშრომლის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე,⁸⁹ წლის მანძილზე, ლიმიტის ფარგლებში სულ გახარჯულია 1,196 ლიტრი საწვავი. სხვადასხვა დროს, საწვავი ჩასხმულია ქალაქ ქუთაისში, ჯამში 1,404 ლარის ღირებულების, 620 ლიტრი ბენზინი, თუმცა ამ პერიოდში აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენება დოკუმენტურად არ დასტურდება.⁹⁰ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საწვავის მოხმარება მოხდა არასამსახურებრივი დანიშნულებით, პირადი მიზნებისთვის მისი მეუღლის მიერ, შესაბამისად, თანხა დააბრუნეს ეტაპობრივად, ხელფასიდან გამოქვითვის გზით.

გამოვლენილი გარემოება N2: 2017 წელს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიის ფარგლებში, შპს „ხელვაჩაურის წყალკანალს“, მიერ გაწეულმა საწვავის საკასო ხარჯმა შეადგინა 88,566 ლარი.⁹¹ შპს „ხელვაჩაურის წყალკანალის“ საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე დოკუმენტურად არ არის დადგენილი საწვავის ხარჯვის ნორმები⁹², არც შესაბამისი ბრძანებები მოიპოვება სატრანსპორტო საშუალებებზე ლიმიტის განსაზღვრის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (საწვავის ჩამოწერის აქტებით) დადგინდა, რომ 2017 წელს სამ ერთეულ სპეც. ტექნიკასა და ორ ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გახარჯულია 37 503 ლიტრი დიზელის და 9 250 ლიტრი ბენზინის საწვავი.⁹³ აუდიტის ობიექტი არ ახორციელებდა ოდომეტრის მონაცემებისა და მოტოსაათების⁹⁴ აღრიცხვას და საწვავის ჩამოწერა ხდებოდა არასათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე. ამ პირობებში, აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული მონაცემებით, 2017 წელს სულ გახარჯულია 50 635 ლიტრი საწვავი, რომლის ჩამოწერა მოხდა ფაქტობრივად განხორციელებული ჩასხმების მიხედვით, თუმცა შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მონაცემებით,⁹⁵ ჩასხმული საწვავის ოდენობა შეუსაბამოა ფაქტობრივად ჩამოწერილ საწვავის ოდენობებთან. კერძოდ, სისტემის ამონაწერით დადგინდა, რომ სამ ერთეულ სპეც. ტექნიკაზე ჩასხმულია დოკუმენტურად ჩამოწერილთან შედარებით, 3881 ლიტრით მეტი საწვავი. შპს „ხელვაჩაურის წყალკანალის“ წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული გარემოება განპირობებულია საწვავის

⁸⁹ ავტოსატრანსპორტო საშუალება სახ. ნომრით SIS-212.

⁹⁰ მუნიციპალიტეტის მიერ მივლინების ბრძანება აღნიშნულ პერიოდებში არ არის გამოცემული.

⁹¹ სულ 50,6345 ლიტრი, მათ შორის: დიზელი – 41 385,23 ლიტრი და ბენზინი – 9249,58 ლიტრი.

⁹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანება.

⁹³ სულ ჯამში, ავტომანქანა UAZ, ს/ნ GM – 2111 ლ ბენზინი, ავტომანქანა და UAZ ს/ნ BBM-743 – 7138 ლ ბენზინი.

⁹⁴ მოტოსაათი – განზომილების ერთეული, რომელიც უჩვენებს სპეც.ტექნიკის ფაქტობრივ მუშაობის დროს.

⁹⁵ ჩასხმების აღმრიცხველი ელექტრონული სისტემა.

ჩამოწერის აქტებში დაშვებული უზუსტობებით, თუმცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურება აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

ცხრილი N6. ინფორმაცია 2017 წელს შპს „ხელვაჩაურის წყალკანალის“ მიერ სპეც. ტექნიკაზე გაცემული და ჩამოწერილი საწვავის შესახებ (ლიტრი)

N	სპეც. ტექნიკის მოდელი	სახ. ნომერი	შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მონაცემები	ჩამოწერის აქტით	სხვაობა ლიტრი
1	მრავალფუნქციური ექსკავატორი VOLVO BL-61-B	PP-208	23 746	20 700	3 046
2	მრავალფუნქციური ექსკავატორი MST M-544	BA605L	10 305	10 084	221
3	თვითმცვლელი KAMAZ-55 111	MK-512-KM	7 333	6 719	614
	სულ ჯამი:		41 384	37 503	3 881

ცალკეულ შემთხვევებში ერთი ჩასხმით ავტომატურად შევსებული აქვს საწვავის ავზის 2,5-ჯერ მეტი ოდენობა. კერძოდ, 40 ლიტრის მოცულობის ავზის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებაში⁹⁶ 10 შემთხვევაში ჩასხმულია 50 ლიტრიდან 108 ლიტრამდე საწვავი, ხოლო მეორე ავტოსატრანსპორტო საშუალებაში⁹⁷ – 7 შემთხვევაში, 50 ლიტრიდან 75 ლიტრამდე საწვავი, რაც ფიზიკურად შეუძლებელია, საწვავის ავზის მოცულობიდან გამომდინარე. აუდიტის ობიექტის განმარტებით, როგორც სპეც ტექნიკის, ასევე მსუბუქი ავტომატურების შემთხვევაში, მათ უხდებოდათ ისეთ ლოკაციებზე მუშაობა, სადაც ბენზინგასამართი სადგური არ იყო, ამიტომ საწვავის მარაგი თან მიჰქონდათ, თუმცა საწვავის ადგილზე მიტანის დოკუმენტური დასაბუთება ვერ წარმოადგინეს.

აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება შპს „ხელვაჩაურის წყალკანალის“ მიერ 2017 წელს სხვადასხვა ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებზე გაცემული 6 792 ლიტრი საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ხელვაჩაურის კომუნალური სამსახურის⁹⁸ ერთ თანამშრომელზე 2017 წელს, ექვს შემთხვევაში გადაცემულია 560 ლიტრი საწვავი, რომელთა სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი.

დასკვნა: მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა პირად მფლობელობაში არსებულ 23 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე 32,049 ათასი ლარის, 17,966 ლიტრი საწვავის ხარჯვაზე ვერ იქნა წარმოდგენილი სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მუნიციპალიტეტის მიერ არ არის განსაზღვრული, რა საჭიროების გათვალისწინებით ხდება თანამშრომელთა პირად

⁹⁶ UAZ – სახელმწიფო ნომრით BBM-743.

⁹⁷ UAZ – სახელმწიფო ნომრით BBM 968.

⁹⁸ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაცია: ა(ა)იპ – ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური.

საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის გამოყოფა, ხოლო შპს „ხელვაჩაურის წყალკანალის“ მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი 50 635 ლიტრ საწვავზე სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვის საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტური მტკიცებულება, რაც წარმოშობს საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის რისკებს.

რეკომენდაცია N11: მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, ორგანიზაციის საჭიროებებიდან გამომდინარე, შექმნას და პრაქტიკაში დანერგოს საწვავის გაცემისა და ჩამოწერის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემა. განსაზღვროს კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებით განხორციელდება მერიის თანამშრომელთა პირად მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის გამოყოფა. ასევე მუნიციპალიტეტმა გაატაროს ქმედითი ღონისძიებები იმ მიზნით, რომ შპს „ხელვაჩაურის წყალკანალში“ დაინერგოს საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემა. მუნიციპალიტეტმა გამოიკვლიოს კონკრეტული შემთხვევების გამომწვევი დეტალური მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

საკვები პროდუქტების შესყიდვა

კრიტერიუმი: ბაღების გაერთიანებასა და ი/მ ემილიანე წილოსანს შორის 2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების⁹⁹ მიხედვით, ანგარიშსწორება უნდა განხორციელდებულყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონლის რაოდენობების მიხედვით, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშგაქტურის საფუძველზე.

გამოვლენილი გარემოება: ბაღების გაერთიანებასა და ი/მ ემილიანე წილოსანს შორის ტენდერების¹⁰⁰ შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების¹⁰¹ მიხედვით, ერთ შემთხვევაში მიმწოდებელს უნდა მიეწოდებინა 46,000 ლარის სხვადასხვა სახის რძის პროდუქტები, ხოლო მეორე შემთხვევაში – 4,700 ლარის მარცვლეული პროდუქტები.

- პირველ შემთხვევაში პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებით, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების და წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების მიხედვით, მიწოდებულია სახელშეკრულებო ღირებულებაზე

⁹⁹ 2017 წლის 26 აპრილის N51 და 2017 წლის 20 იანვრის N8, N9 და N11 ხელშეკრულებები.

¹⁰⁰ გამარტივებული ელექტრონული ტენდერები: NAT170003785, SPA170000102.

¹⁰¹ N51, 24.04.2017 და N8, 20.01.2017.

ნაკლები, ჯამში – 34,314 ლარის საქონელი, ხოლო გადარიცხულია მიწოდებულზე 6,655 ლარით მეტი – 40,969 ლარი.

- მეორე შემთხვევაში მიწოდებულია სახელშეკრულებო ღირებულებაზე ნაკლები, ჯამში – 2,951 ლარის მარცვლეული პროდუქტები, ხოლო გადარიცხულია მიწოდებულზე 1,375 ლარით მეტი – 4,326 ლარი.

ცხრილი N7 ინფორმაცია ბაღების გაერთიანების მიერ ზედმეტად გადახილი თანხის შესახებ (ლარი)

N	ხელშეკრულება	შესყიდვის შინაარსი	ხელშეკრუ- ლების ღირებულე ბა	მიწოდებულ ი საქონელის ღირებულება	გადარი- ცხული თანხა	ზედმეტად გადარიცხული თანხა
1	N51, 26.04.2017	სხვადასხვა სახის რძის პროდუქტები	46 000	34 314	40 969	6 655
2	N8, 20.01.02017	სხვადასხვა სახის მარცვლეული	4 700	2 951	4 326	1 375
	ჯამი:		50 700	37 265	45 295	8 030

ობიექტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ზემოაღნიშნული გამოწვეულია შემდეგით: ი/მ ემილიანე წილოსანთან გაფორმებული სხვა ხელშეკრულებების¹⁰² ფარგლებში მიწოდებელმა ბაღების გაერთიანებას, ნაცვლად 37,570 ლარის რძის პროდუქტებისა, ფაქტობრივად მიაწოდა 44,225 ლარის, ანუ 6,655 ლარით მეტი საქონელი. მეორე შემთხვევაში, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 3,575 ლარის ღირებულების პროდუქტისა, ფაქტობრივად მიაწოდა 1,375 ლარით მეტი საქონელი, ჯამში – 4,950 ლარის კვების პროდუქტები.

ორი ხელშეკრულების ფარგლებში, ჯამში ზედმეტად მიწოდებულია 8,030 ლარის პროდუქტები. ზედმეტად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება არ უნდა მომხდარიყო, თუმცა ბაღების გაერთიანებამ სხვა ხელშეკრულებების ფარგლებში დარჩენილი რესურსიდან (იხ. ცხრილი N7) ხელშეკრულების პირობების დარღვევით გადარიცხა, ჯამში 8,030 ლარი.

პასუხისმგებელი პირი, რომელმაც ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მოახდინა თანხის ზედმეტად გადარიცხვა, გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან და მის წინააღმდეგ მიმდინარეობს სასამართლო დავა.

დასკვნა: კვების პროდუქტების შესყიდვასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ, ზედმეტად გადარიცხულია ჯამში 8,030 ლარი. ბაღების გაერთიანებაში არ არის დანერგილი ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების პირობების

¹⁰² N11, 20.01.2017 და N9, 20.01.2017.

დარღვევის თავიდან არიდებას და შესაბამისად, საბიუჯეტო რესურსების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განკარგვას.

რეკომენდაცია N12: მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს, რომ ბაღების გაერთიანებაში დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განუხრელ შესრულებას. ასევე გამოკვლეულ იქნეს საქონლის ზედმეტად მიღების და ანაზღაურების მიზეზები და გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ექსკავატორის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კანონის ძირითადი მიზანია შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, რაც მიიღწევა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფით.

გამოვლენილი გარემოება: შპს „ხელვაჩაურის წყალკანალის“¹⁰³ მიერ, ექსკავატორისათვის ნაწილების შეძენის მიზნით გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში¹⁰⁴, საქონლის¹⁰⁵ მიწოდების ვადად განსაზღვრული იყო ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 5 კალენდარული დღე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულების – 18,970 ლარის შეთავაზებით ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი – შპს „ბასმოტორის“, რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება¹⁰⁶. მიწოდების ვადის ბოლო დღეს,¹⁰⁷ მიმწოდებელი კომპანიის მოთხოვნით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და საქონლის მიწოდების ვადა გაიზარდა 4-ჯერ, შესაბამისად, 5 კალენდარული დღე შეიცვალა 20 კალენდარული დღით. წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებით¹⁰⁸ დადგინდა, რომ საქონლის მიწოდება განხორციელებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაგრძელებული ვადის ბოლო დღეს, 2017 წლის 19 აპრილს.

დასკვნა: ექსკავატორის სათადარიგო ნაწილების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში, საქონლის მიწოდების მცირე ვადის განსაზღვრა, ხოლო ხელშეკრულების დადების შემდგომ, დასაბუთების გარეშე მისი

¹⁰³ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს.

¹⁰⁴ NAT170002726

¹⁰⁵ კაბინა – შემინული (ერთი კომპლექტი), ტალახის დამცავი აქსესუარები, პლასტმასის კომპლექტი, გადაცემათა კოლოფის ელექტრობაზინა და ზეთის ფილტრი.

¹⁰⁶ ხელშეკრულება N41, 30/03/2017.

¹⁰⁷ შეთანხმების აქტი 04.04.2017.

¹⁰⁸ შპს „ბასმოტორის“ ელზედნადები 0300099230.

ცვლილება, შესაძლოა, განხორციელებული იყოს კონკურენციის შეზღუდვის მიზნით, რამაც საბოლოოდ ერთი მონაწილის პირობებში, შესყიდვის მაქსიმალური ღირებულების შეთავაზებით განაპირობა სასურველი პრეტენდენტის გამარჯვება.

რეკომენდაცია N13: მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების შემუშავება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს, კონკურენტული გარემოს შექმნის მიმართულებით.

ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებული ქონება

კრიტერიუმი: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო თანხა უნდა განისაზღვროს არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის ოდენობით, მისი საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე. ამისთვის მნიშვნელოვანია საპრივატიზებო ქონება შეფასდეს სრულად და შეფასებისას არსებული საბაზრო ფასით.

გამოვლენილი გარემოება: 2017 წლის 19 ივნისს მერიამ ელექტრონულ აუქციონზე¹⁰⁹ უპირობოდ, გასასხვისებლად განათავსა სოფელ აჭარისწყალზე, მდინარე მაჭახელას პირას მდებარე 4,963 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი,¹¹⁰ 1,348.5 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობასთან ერთად. გასაყიდი ქონების შეფასება განხორციელა ი/მ დავით რობაქიძემ, რომელთანაც მერიას 2017 წლის 27 იანვარს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება N53¹¹¹.

ქონების ღირებულების განსაზღვრის შესახებ 2017 წლის 13 მაისით დათარიღებული N012/0,1 დ.რ დასკვნის მიხედვით, მიწა შეფასებულია 1 კვ.მ – 20 ლარად, ჯამში – 99,260 ლარად¹¹². რაც შეეხება შენობა-ნაგებობებს, ისინი დასკვნაში შეფასებულია შემდეგნაირად: „საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულია შენობა-ნაგებობების ფართობი, თუმცა ფაქტობრივად ამ შენობა-ნაგებობებს შემორჩენილი არ აქვთ შენობის სახე და მათში არანაირი ფართის არსებობა არ შეინიშნება, კერძოდ, ისინი წარმოადგენენ სამშენებლო მასალების ნანგრევების ერთობლიობას, რომელთაც აქვთ დაკარგული მასალის სახე და ფაქტობრივად სამშენებლო ნაგვის სახე აქვთ. აქედან გამომდინარე, ამ შენობა-ნაგებობების ღირებულებას გავუტოლებ ნულს, ვინაიდან მათგან არანაირი მასალის ამოღება არ

¹⁰⁹ 44115DST45000417 - განცხადების ნომერი.

¹¹⁰ საკადასტრო კოდი 22.31.03.002.

¹¹¹ SPA170000192.

¹¹² =4963*20.

შეიძლება, რომელიც შეიძლება იქნეს რეალიზებული და მიღებულ იქნეს რაიმე შემოსავალი...“.


გასათვალისწინებელია, რომ დასკვნას არ აქვს თანდართული ფოტომასალა, სადაც ასახული იქნებოდა შეფასების დროს შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობა. თუმცა, e-auction.ge-ზე განთავსებულ განცხადებას¹¹³ თან ერთვის ერთი ფრაგმენტული ფოტოსურათი¹¹⁴ (იხ. სურათი N4), სადაც ჩანს, რომ ნაგებობა დგას და იგი სულაც არ წარმოადგენს ნაწარგების ერთობლიობას, მას მასალების სახე აქვს და ფართის არსებობაც ჩანს. აღსანიშნავია, რომ ფიზიკური დათვალიერებისას, რომელსაც აუდიტის ჯგუფთან ერთად ესწრებოდნენ ობიექტის წარმომადგენლები აღნიშნული ნაგებობა აღარ არის განთავსებული ადგილზე, რაც მიუთითებს რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილის დაშლა მოხდა ახალი მესაკუთრის მიერ.

სურათი N4. ელექტრონულ აუქციონზე სურათი N5. ფიზიკური დათვალიერებისას ადგილზე განთავსებული სურათი არსებული ნაგებობების ამსახველი ფოტომასალა



ადგილის ფიზიკური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მიწაზე ახლაც არის განთავსებული შენობა-ნაგებობა, აუზი და რკინა-ბეტონის სინკარებისგან გაკეთებული ღობე. (იხ. სურათები: N5, N6) ექსპერტიზის დასკვნაში საერთოდ არ არის მათ შესახებ ინფორმაცია მოცემული და შესაბამისად, არ არის ისინი შეფასებული.

სურათი N 5. ფიზიკური დათვალიერებისას ადგილზე არსებული ნაგებობების ამსახველი ფოტომასალა



¹¹³ <https://www.eauction.ge/Home/EntityView/450004>.

¹¹⁴ სურათი გადაღებულია ქონების მართვის განყოფილების წარმომადგენლის მიერ.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ერთმა პირმა და გაიმარჯვა 109,186 ლარის შეთავაზების შედეგად¹¹⁵.

დასკვნა: მუნიციპალიტეტის მიერ საპრივატიზებო ქონება არ არის შეფასებული სრულად. კერძოდ, შეფასებულია მხოლოდ საპრივატიზებო მიწა, მასზე განთავსებული ნაგებობები განულებულია, ხოლო ნაკვეთის ნაწილობრივი ღირებულების და იქ არსებული აუზის ღირებულება საერთოდ არ არის შეფასებული. ასევე არ არის შეფასებული ის შენობა, რომლის არსებობა დასტურდება ელექტრონული აუქციონისას თანდართული სურათით და რომელიც დაშლილია პრივატიზების შემდეგ, ახალი მესაკუთრის მიერ. შესაბამისად, ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განსაზღვრულია არასაბაზრო ფასით, რის გამოც ბიუჯეტმა ვერ მიიღო დამატებითი შემოსულობა¹¹⁶.

რეკომენდაცია N14: მერიამ უზრუნველყოს ისეთი პროცედურების განხორციელება, რომლის შედეგად მოხდება საპრივატიზებო ქონების სრული შეფასება. ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისას იხელმძღვანელოს რეალური საბაზრო ღირებულების დადგენის და მეტი საბიუჯეტო შემოსულობის მიღების პრინციპებიდან გამომდინარე.

სხვა საკითხთა აზრები

შიდა აუდიტი

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შიდა აუდიტი ეხმარება დაწესებულებას მიზნების მიღწევაში, რაც დაწესებულების წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის, საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასებაში და დაწესებულების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებაში გამოიხატება. შიდა აუდიტის სუბიექტის შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს დაწესებულების სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო, რომლის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების დახმარებით, ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის

¹¹⁵ 1 კვ.მ გაიყიდა 22.0 ლარად.

¹¹⁶ არანაკლებ 2000 ლარი = 78.4* 25. ჩვენი შეფასება ეყრდნობა უხეშ გათვლებს, ვაფასებთ მხოლოდ ფიზიკური დათვალიერების შედეგად აღმოჩენილ ნაგებობებზე არსებული სინკარების რაოდენობის მინიმალური საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით. სინკარის ღირებულება აღებულია შემდეგი წყაროდან: <https://www.eauction.ge/Home/EntityView/545630><https://www.eauction.ge/Home/EntityView/545630>

დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოჩენა, თაღლითობისა და შეცდომების გამოვლენა და პრევენცია.

გარემოება: მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა, 2017 წელს მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ორგანიზაციებში ჩაატარა სულ 6 აუდიტი. ჩატარებული აუდიტები მიზნად ისახავდა 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტის დასკვნის შედგენას, რეკომენდაციების შემუშავებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას.

შიდა აუდიტის მიერ შედგენილ აუდიტორულ დასკვნებში ასახული მიგნებების შესაბამისად გაცემულია რეკომენდაციები, ამასთანავე, არ ხდება რეკომენდაციების შესრულებაზე სათანადო რეაგირება და მონიტორინგი, რაც მუნიციპალიტეტისათვის რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

რეკომენდაცია N15: მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა არსებული რისკების შეფასებით და მოქმედ კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს ზოგადად თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით და განახორციელოს მონიტორინგი რეკომენდაციების განუხრელად შესრულებაზე.

წინა აუდიტის დროს გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 2017 წელს ჩაატარა 2016 წლის ფინანსური აუდიტი. აუდიტის ანგარიშში დაფიქსირდა სხვადასხვა არსებითი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანება, რომელთა გამოსასწორებლად გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, შეუსრულებელია რიგი რეკომენდაციები, კერძოდ:

- ✓ შპს „ხელვაჩაურის წყალკანალისა“ და ა(ა)იპ – ხელვაჩაურის, გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურში 2016 წლის ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯების ხელახალი კალკულაციის პროცესი არ დასრულებულა;
- ✓ მუნიციპალიტეტის მერიამ შესაბამის მიმწოდებლებს წერილობით აცნობა დაკისრებული პირგასამტეხლობის¹¹⁷ შესახებ, თუმცა მათი გადახდა ბიუჯეტის

¹¹⁷ ჯამში: ორი ხელშეკრულების ფარგლებში დამატებით დაერიცხა 4 042.6 ლარი. SPA160001083, ხელშეკრულება N61, 23/03/2016 – დამატებით დაერიცხა 3,399.1 ლარი; SPA160001081, ხელშეკრულება N71, 30/03/2016. – დამატებით დაერიცხა 643.5 ლარი.

სასარგებლოდ არ მომხდარა. აუდიტის მიმდინარეობისას მიმწოდებლების წინაღმდეგ სასამართლო საქმისწარმოება არ არის დაწყებული.

რეკომენდაცია N16: წინამდებარე ანგარიშში ასახულ, 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის შედეგების გათვალისწინებით, გაცემულ რეკომენდაციებთან ერთად მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და წარმოადგინოს სამოქმედო გეგმა, მუნიციპალიტეტის 2016 წლის პერიოდზე აუდიტის ანგარიშში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის. ასევე გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ინფორმაცია გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შესახებ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა გაატაროს სათანადო ღონისძიებები იმ პასუხიმგებელ პირთა მიმართ, რომელთაც ევალებოდათ აღნიშნულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება.


აუდიტორთა ხელმოწერა:

სახელი, გვარი

ხელმოწერა

გურანდა გვაზავა

უფროსი აუდიტორი




მაია მუჯირიშვილი

უფროსი აუდიტორი



გიორგი აბულაძე

აუდიტორ-ასისტენტი



25 დეკემბერი 2018 წელი

